პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ცენტრალური
ბიბლიოთეკა

ბრძოლის ხმა

1934 წ. თებერვალი
პარიზი

№ 40

1934 — FEVRIER
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა

«L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ავსტრიის სოციალდემოკრატია მამაცურათ ადგა. გმირულათ თავი დადვა.

მან ამჯობინა ლაჩრულ სიცოცხლეს, სასახელო სიკვდილი.

ის იარაღით შეებრძოლა ხალხის მტერთ, ის შეეწირა თავისუფლების საკურთხეველს.

სისხლიანი ფაშიზმი გამარჯვებას დღესასწაულობს; მან დაანთხია სისხლი საუკეთესო ამხანაგების. მან ჩაიგდო ტყვეთ თავდადებული მებრძოლნი.

ბარბაროსებმა დაანგრიეს უძლიერესი ორგანიზაცია, უდიდესი სოციალისტური პარტია.

მაგრამ მან ვერ დაანგრია მისი სული. მისი აღმაფრენა, მისი შარავანდედით მოცული თავგანწირულობა.

ავსტრიის ამხანაგთა მებრძოლი სული დარჩება დაობლებულ პროლეტარიატში მანათობელ ლამპარათ, ჩაბერავს მას, მთელს საერთაშორისო პროლეტარიატს, მხნეობას, ურყევ ნებისყოფას, ბრძოლის წყურვილს, გამარჯვების იმედს და სასოებას.

აღარ არის ავსტრიის სოციალდემოკრატია,

გაუმარჯოს ავსტრიის სოციალდემოკრატიას!

თვალსაჩინო გაკვეთილი

პარიზი წმინდა პარიზულათ ჩაერია პოლიტიკურ ბრძოლაში და პარლამენტალურ მეთოდს რევოლიუციური მეთოდი დაუპირდაპირა.

პარიჟი არასოდეს არ ყოფილა შეპყრობილი «პარლამენტალური კრეტინიზმით», თვითონ დიდი დემოკრატი არასოდეს დემოკრატიული ლიტანია ხელშეუხებელათ არ უცვნია და პირდაპირ მოქმედებაზე ხელი არ აუღია.

პარიზმა არა ერთი და ორი პალატა ვარეკა. არა ერთი და ორი რეჟიმი გადააგდო, არა ერთი და ორი დინასტია გააუქმა. პარიჟი მუდამ სცნობს ერთ დროშას, რომლის ქვეშ ყველა გაჭივრებულ მომენტებში თავს იყრის. ეს დროშაა—კანონი საზოგადოების გადარჩენის. ხოლო რით გადარჩება ის, კანონით თუ უკანონობით. პარლამენტით თუ ქუჩით—ეს დროის და გარემოების საკითხათ მიაჩნია.

და სწორეთ 6 თებერვალს ღამით ქუჩა ახმაურდა, სისხლიანი დემონსტრაციები მოხდა. მასა საბრძოლველათ გამოვიდა და გამარჯვებაც ირგუნა: 12 თებერვალს გამოვიდა პროლეტარიატი საერთო გაფიცვით.

რა მოხდა, რაშია საქმე?

საფრანგეთშიაც დაიწყო ის კრიზისი, რაც სხვაგან დემოკრატიის დანგრევით გათავდა. უძლური პალატა, უძლური მემარცხნეთა ბლოკი. მთავრობათა დაუსრულებელი ცვლა, საშინაო და საგარეო კრიზისის გამწვავება, არსაიდან შველა, არსად გამოსავალი—აი უკანასკნელი თვეების პოლიტიკური მდგომარეობა საფრანგეთში. პალატა დაშორდა ხალხს. მის სულისკვეთებას. მის ჭირვარამს და ჩაიკეტა ბურბონის სასახლეში. აქ გაჩაღდა კენჭობია, პარტიათა ერთიმეორის გადაგდება, სამინისტრო კომბინაციები, სკანდალების ხელის დაფარება, ლაპარაკი, დაუსრულებელი ენამჭევრობა და საწყალი საქმიანობა. პარიზს მოსწყინდა ამ სურათის ცქერა; ითმინა, დიდხანს ითმინა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ბერლინივით სულგრძელი არ გამოდგა. მან არ დაანება სტიქიას თავაშვებულათ ეთარეშა. დაწყებული უპატრონობა და უთავბოლობა ბერლინივით გაღრმავებულიყო და ბოლოს გერმანულათ გათავებულიყო. ის ადგა და ჩაერია. დემოკრატიული მეთოდი დაირღვა, მაგრამ დემოკრატია შეინახა, დეპუტატები არ გარეკა, მაგრამ ჭკვაზე კი მოიყვანა, ეს ქვეყნის პატრონები თავის საპატრონოთ გამოაცხადა.

6 ამ თვეს ქუჩაზე გამოვიდა ხალხი, საშუალო კლასები; ქუჩაზე არ გამოვიდა პროლეტარიატი, მუშური ფენები. აქ გამოჩნდა აშკარათ უდიდესი ფაქტი: ამ ორ კლასთა შორის კავშირის გარღვევა. მუშების განმარტოვება, წვრილი ბურჟუაზიის მარცხენა პალატის წინააღმდეგ ამუშავება. ამით მოხერხებულათ ისარგებლეს ფაშისტურ ორგანიზაციებმა და მოინდომეს ამოძრავებულ ხალხის თავის მიზნებისაკენ მიმართვა.

პოლიტიკა, რომელიც საშუალო კლასებს ფაშისტებს მიურეკს, უვარგისი. დასაგმობი პოლიტიკაა. მარცხენა ბლოკმა, აწარმოვა ეს პოლიტიკა და მოიმკო შესაფერი ნაყოფი: დელადიეს სამინისტროს დაცემა, რადიკალების სრული კაპიტიულაცია, ნეოსოციალისტების მათკენ გაყოლა და ძველი სოციალისტების იზოლიაცია.

პარიზი გამოვიდა ფაშისტებთან ერთათ. მაგრამ მათ ბოლომდე არ გაყვა, ის დემოკრატიას არ გადაუდგა და პარლამენტარულ რეჟიმს ბრძოლა არ გამოუცხადა. მან დაიკავა საკუთარი პოზიცია, პოზიცია საშუალო კლასებისა, ყავდეს სალი, საქმიანი დემოკრატია. მას უყვარს მთავრობა მომქმედი და არა მოლაყბე; მას სურს ქონდეს მისი რეჟიმი, წმინდა, გაურყვნელი, მისთვის ხელის შემწყობი და დამხმარე. მან ეს მარცხნით ვერ ნახა და მიგდგა მარჯვნივ. ეს იყო კრახი პირველ ყოვლისა რადიკალების; ესენი დატოვა მათმა ჯარმა და ამით იძულებული გახდენ თვითონაც მარჯვნივ გაქცეულიყვენ. სოციალისტები გაიყვენ—ერთნი მიემხრენ გამარჯვებულთ, იმ იმედით რომ დემოკრატია გადაარჩინონ, მთავრობა მარტო საეჭვო ელემენტების ამარათ არ დასტოვონ. მათი ლიდერი კომპერ მორელი სწერს:

«პალატა გახდა ასე არა პოპულიარული საზოგადოების ყველა ფენებში, ყველა კლასებში იმიტომ რომ მან დაგვანახვა უძლურება მართველობის, კანონმდებლობის და მოქმედების». აი «სილარიბის მოწმობა» კარტელისათვის ბოძებული. სწორეთ რეიხსტაგის ასეთ უძლურებამ მოგვცა ჰიტლერი; და რომ პარიზი დროზე არ ამდგარიყო აქაც ასე გათავდებოდა. ქუჩამ ჩამოკრა პირველი ზარი, ზარი გაფრთხილების და დაფიქრების. განა გერმანიის დემოკრატია დიდათ მოგებული არ იქნებოდა, ბერლინის ხალხი ამდგარიყო და მისთვის თავში ჩაეკრა? მან კი დეპუტატებთან ერთათ დინჯათ ითვალა კენჭები, ვითომ ეს თვლა სწყვეტდეს ქვეყნის ბედს. ამასობაში მას წამოეპარა ვინც კენჭობიას არ ეტრფის და წესი აუგო მთელ ამ უძლურთა კიდობანს.

პარიზი მუდამ ეკუთვნოდა საშუალო კლასებს და წყდებოდა მისი ბედი მათი საშუალებით; მუშათა კლასი თავმოყრილია მის ირგვლივ, უმთავრესათ პარიზის ფობურგებში (სენდენი, კურბევუა, ბიანკური და სხ.); აქ რევოლიუცია ნიშნავდა საშუალო კლასების გადასვლას მუშათა მხარეზე, კონტრ რევოლიუცია კი ამ კავშირის დარღვევას და მათ გადასვლას ბურჟუაზიისაკენ. პოლიტიკა მიმართული ამ კლასების ინტერესების წინააღმდეგ ყველაზე უფრო საფათარაკოა სწორეთ საფრანგეთისათვის, რომლის ჩარხს პარიზი აბრუნებს. ამ ჟამათ ეს მოუსვენარი აქტიური ფენები შეჩერდენ დემოკრატიის ნიადაგზე, მაგრამ შემდეგ? ეს დამოკიდებულია მუშათა წრეების დამოკიდებულებაზე.

9 ამ თვეს კომუნისტების გამოსვლა ნიშნავდა ფაშისტების წისქვილზე ახალი ნაკადულების მიშვებას. საშუალო კლასების საბჭოთა პერსპექტივებით დაფრთხობას და მათ კიდევ უფრო მარჯვნივ გადაქანებას. საბედნიეროთ არც წვრილბურჟუაზიაა პოლიტიკურათ უწვრთნელი, ადვილათ დასაშინებელი, არც კომუნისტებია მრავალრიცხოვანი და გავლენის პატრონნი. სულ სხვაა სოციალისტების მეორე რაზმი, ბლიუმის დროშის ქვეშ თავმოყრილნი. რომელთა წონა და გავლენა საკმაოთ დიდია. განიმეორებენ ესენი გერმანიის სოციალდემოკრატიის პრობოლშევიკურ ტაქტიკას, დაძმობილდებიან კომუნისტებთან «საერთო მტრის» წინააღმდეგ, საშუალო კლასებს საწოლს მოუმზადებენ ფაშისტების ბანაკში. დაიწყეს კი ამ ნაბიჯით. მოუწოდეს მოსკოველთ «საერთო მტერთან» ერთათ საბრძოლველათ. თავის თავს კი სრულიად არ ეკითხებიან, სად არის ეს «საერთო მტერი»; დემოკრატიას უარყოფს კომუნისტები ისე როგორც ფაშისტები; რანაირათ შეიძლება კომუნისტი იყოს დემოკრატიისათვის თანამებრძოლი—სრულიად გაუგებარია. ის ებრძვის ფაშიზმს არა დემოკრატიისათვის, არამედ თავისი საკუთარი დიქტატურისათვის.

ამ ჟამათ პარიზში, მთელ საფრანგეთში წარმოებს ბრძოლა პარტიათა შორის საშუალო კლასების მოსამხრობათ. ეს კლასები პირველ ყოვლისა ანგარიშს უწევენ ძალას; ეს ძალა 6 თებერვალს დაანახვა მარჯვენამ, გადაექანენ მისკენ; სამაგიეროთ 12 ამთვეს პროლეტარიატმა მდგომარეობა გამოაკეთა; მისმა საერთო გაფიცვამ, მოწყობილათ და საკმაო ფართეთ ჩატარებულმა, მოაგონა ქვეყანას მუშა-პარიზის ძალა და გავლენა, მართალია მას არ მიემხრო წვრილი ბურჟუაზია, თავისი სავაჭროები არ დაკეტა, როგორათაც ამას ჩადიოდა რევოლიუციურ პერიოდში,მაგრამ მარჯვნივ გადახრილ ფენებმა თვალსაჩინო გაკვეთილი მიიღეს, დემოკრატია უპატრონოთ ველარ დაინახეს. პარიზს მუდამ გონია რომ რეჟიმის ბატონია არა პალატა და მთავრობა, არამედ ხალხი, პირველ ყოვლისა პარიზის ხალხი. ამიტომ ნამდვილი ხალხის გამოჩენას, პარიზში განაპირა უბნებიდან პროლეტარიატის შემოსვლას და აქ თავისი სიტყვის ავტორიტეტულათ თქმას არ შეეძლო არ მოეხდინა პარიზელებზე შესაფერი გავლენა. პროლეტარიატმა 6 თებერვალს დაკარგული გავლენა 12 თებერვალს დაიბრუნა. მაგრამ ეს დაბრუნება იქნება დროებითი. წარმავალი, თუ ის არ გამაგრდა შესაფერი რეფორმებით, თუ სოციალისტური პარტია არ დადგა ფართო სახალხო ნიადაგზე და არ მიმართა თავისი ტაქტიკა საშუალო კლასების და პროლეტარიატის ბლოკის შექმნისაკენ.

დუმერგის კაბინეტი—ეს გარდამავალი საფეხურია, ეს დროებითი დაძმობილებაა შავის და თეთრის, რომლის გარღვევა მოხდება მაშინვე როგორც კი საქმეს შეუდგებიან. დუმერგი ბრძოლის არა დასასრულია, არამედ დასაწყისია, მომზადებაა ახალი შეტევებისაკენ. უკანასკნელ სიტყვას სხვა იტყვის...

ნ. ჟ.

◆

ახალი რეპრესიები ანუ პასპორტიზაცია

(წერილი საქართველოდან)

უკანასკნელ ხანებში ქალაქთა მოსახლეობის რიცხვი საგრძნობლათ გაიზარდა. კოლექტივიზაციის ნიადაგზე სასოფლო მეურნეობა დაეცა. გლეხობამ მიატოვა სოფელი და ქალაქს შეაფარა თავი. ნაწილი მოეწყო სხვადასხვა წარმოებაში დღიურ მუშებათ, ნაწილი კი უმუშევრად დაეხეტება ქალაქის ქუჩებში (უმთავრესად უკრაინელები). მოსახლეობის ზრდასთან შეფარდებით საბინაო მშენებლობა ისევ ძველ კალაპოტში დარჩა. მართალია ბოლშევიკები ბევრს გაჰკივიან ქალაქში საბინაო მშენებლობათა მიღწევებზე, მაგრამ სინამდვილეში აშენდა ერთი და დაინგრა ათი. ამ გარემოებამ გამოიწვია მეტად დაუძლეველი პირობები. აღარ ათავდა სავაჭრო დარაბები და მეტად ნესტიანი სარდაფიც საოცნებო საგანი გახდა. ათასობით ყრია ხალხი ქუჩებში, სადგურებში და სასაფლაოს ეზოებში. მათთვის არ არსებობს არავითარი თავშესაფარი და არც პატრონი. პარტახტიანი ტიფი მუსრს ავლებს, როგორც ლტოლვილებს ისე მკვიდრ მოსახლეობას. მაგრამ ხსნა არსაით არის. არ არის წამალი. არ არის კვების საშუალება და არავითარი გიგიენურ-სანიტარული პირობები. საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც ბევრს გაყვირის ჯანმრთელობის, საზოგადოებრივი კვების და საცხოვრებელ ბინების გაუმჯობესებაზე ჩიხში მოემწყვდა და «გამოსავალი» გზა საპასპორტო სისტემის შემოღებაში დაინახა.

თითქოს აღნიშნულ სისტემას შეეძლოს საზოგადოებრივი წყობისა და ეკონომიური პირობების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება. ბოლშევიკური ხელისუფლების მიზანი გარკვეულია. მან იცის რა უნდა გააკეთოს ამით, მაგრამ ხალხის თვალის ასახვევად სულ სხვა ხერხით მოქმედობს. მოსკოვში და ლენინგრადში მიღებულმა გაკვეთილებმა სტალინს ოდნავათ აცვლევინა თავისი გადაწყვეტილება და ამიერ კავკასიის ქალაქებში საპასპორტო სისტემა თითქმის გააუქმა. ეს არ მოეწონათ ამიერ კავკასიის ვაჟბატონებს და პარტიის შიგნით ასტეხეს განგაში. «რაინდი» ბერია სასწრაფოთ გაემგზავრა მოსკოვში რათა «ყოვლის» შემძლე სტალინს სთხოვოს ბაქოს, ტფილისის და ბათომის «გაწმენდის» ნებართვა. რაზედაც დადებითი პასუხი მიიღო. მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ მან განაცხადა: ტფილისი უნდა გავსწმინდო პოლიტიკურად საშიშ პირებისა, ძველი კლასიური ინტელიგენციისა და ყოფ. ვაჭრებისაგანო. მე უნდა ვიცოდე ვინ მყავს ტფილისშიო.

გაზაფხულის შუა რიცხვებიდან დაიწყო ტფილისის მოსახლეობის «შესწავლა», მათი აწონ-დაწონვა. აღრიცხვა და სხვა. პოლიტ სამართველოს საიდუმლო განყოფილებამ აამუშავა თავისი კადრები. გადაისინჯა ძველი არხივები და მიმდინარე საქმეების ფურცლები. ამოიწერა მოქალაქეთა სახელი და გვარები და ამა წლის 15 აგვისტოს გადაეგზავნა სამილიციო რაიონებს, რაიონებიდან კი საპასპორტო პუნქტებს.

ამის შემდეგ საბინაო სამეულების საშუალებით მოქალაქეებს გადაეცა ფორმები № 1 და № 2. პირველს ავსებს საბინაო სამეული და მეორეს კი წარმოება დაწესებულება, რის შემდეგ სამხედრო წიგნაკთან და მეტრიკულ ამოწერილობასთან ერთად სამეული პაკეტით აგზავნის საპასპორტო პუნქტში.

ერთი თვე არის უკვე რაც პასპორტების გაცემა დაიწყო. მოქალაქეებს ეძახიან საცხოვრებელ ბინების მიხედვით რიგზე. პასპორტის გაცემის დროს ათვალიერებენ პოლიტ სამართველოსაგან წარმოდგენილ სიას. რის შემდეგ იძლევიან პასპორტს ან უწყებას გასახლების შესახებ (გასახლების ვადა არის ათი დღე, გასაჩივრების კი სამი დღე).

უნდა ითქვას, რომ მეტად გადაჭარბებულ სპეკულიაციას აქვს ადგილი თვით ხელისუფლების მიერ. პასპორტი ღირს 3 მანეთი ყდა კი 1 მ. 50 კ. სპეკულიაცია აგრეთვე პასპორტის გაყიდვის სახით ისეთ პირებზე, როგორიც არიან ვაჭრები. გამფლანგველები და სხვა (კანონით მათ არ ეკუთვნით პასპორტი) მაგრამ არავითარ შემთხვევაში პოლიტიკურად არა საიმედო პირებზე. უკვე აშკარა არის, რომ ბოლშევიკურ ხელისუფლებას თავიდან მიზნათ ქონდა ქალაქის «გაწმენდა» პოლიტიკურად მოწინააღმდეგე პირებისაგან და არა ყოფ. ვაჭრებისა, ხულიგანებისა და ქურდებისაგან. დღეს ყველასათვის ნათელია. რომ ტფილისის «წმენდა» ხდება ქართველთა ხარჯზე. საპასპორტო სისტემა ახალი სახის რეპრესიებია სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის მიმართ. ეს თავიდანვე ცხადი იყო მაგრამ ბოლშევიკები მაინც თავისებური ხერხით გაჰკივიან «წმენდის» შესახებ, ვითომ ქალაქიდან ასახლებენ არა მშრომელ ელემენტებს, რომლებიც «მეტ ბარგათ» აწევს ტფილის თავზე, მათი გასახლებით ანთავისუფლებს ბინებს და შიგ «მშრომელ» ხალხს ჩავასახლებთო.

სინამდვილეში კი ფაქტები სხვას ლალადებენ. აი ვინ არიან ბოლშევიკებისათვის არა მშრომელი ელემენტები: ძველი მუშები, პედაგოგები, ექიმები, ვექილები, ინჟინრები და სხვადასხვა პროფესიის მუშა მოსამსახურენი თავიანთი ცოლშვილით.

აი თურმე ვინ აწევს ტფილის თავზე «მეტ ბარგათ» და აი საითკენ არის მიმართული ბოლშევიკური ისარი.

უკვე ერთი თვე არის მას შემდეგ რაც ტფილის თავზე დაატყდა ეს უბედურება. ისედაც მშიერ-ტიტველი ხალხი ათასობით იძულებითი წესით გამოასახლეს ბინებიდან. ყოველგვარ საშვალებას მოკლებულნი ყრიან ქუჩაში, ცოლით, შვილებით და ოჯახის ნივთებით. არ იციან სად წავიდენ, რომელ გზას გაყვენ ან რომელ მხარეში.—წადი, განსაზღვრული ვადის შემდეგ არავინ გნახოს ტფილისში, ასეთ პასუხს იძლევა კომისია. რომელიც ფორმალურად არჩევს განცხადებებს. წადი მაგრამ ვერ წახვალ: ბათუმში, ფოთში, სოხუმში, ახალციხე-ახალქალაქში. ერთი სიტყვით უნდა გაქრე ამა ქვეყნიდან.

ხელისუფლების ასეთი უმსგავსო საქციელი ქმნის მეტად ნერვიულ განწყობილებას. არის შემთხვევები მკვლელობის. თვითმკვლელობის და სხვა. 14 ოქტომბერს ავლაბარში ერთერთი პუნქტის გამგე მოკლა ვინმე მეეტლემ, ის გაასახლეს ქალაქიდან, არავითარმა თხოვნამ არ გასჭრა და იძია შური. ყოველ დღიურათ ასეულებით ასახლებენ ოჯახებს და მათ ბინებში ასახლებენ ისეთ პირებს რომლებსაც ბინა უჭირავთ, არ მოსწონთ და უკეთეს ეძებენ. საშინელ მექრთამეობას აქვს ადგილი. ვინც გამნაწილებელს განსაზღვრულ რაოდენობის თანხას ჩაუდებს ჯიბეში ის მიიღებს ორდერს.

ბოლშევიკურ სამეფოში ყველაფერი უკუღმა ხდება. ცხადია წინასწარი მოფიქრებით და შეგნებით. თითქოს ისარი მომართულია ყოფილ ვაჭრებსა, სპეკულიანტებზე, არა მშრომელ პირებზე, მაგრამ სინამდვილეში მას ესვრიან მშრომელ მოსახლეობას. ვისზედაც ხმამაღლივ გაჰკივიან იმათ პასპორტი უკვე ჯიბეში აქვთ. პატიოსან მოქალაქეებს კი ერეკებიან. გასახლებულთა შორის 90 პროც. ქართველებია, რომლებსაც ათეული წლები უცხოვრიათ ტფილისში, ბევრი აქვე დაბადებულა და აღზრდილა, ბევრს არც კი აქვს სოფელი, არასოდეს უცხოვრია იქ. ასეთ მოქალაქეთა ბედს წყვეტენ კომუნისტი სომხები, რომლებიც საპასპორტო პუნქტებში 80 პროც. შეადგენენ. ისინი ეკითხებიან ქართველებს ტფილისში ჩამოსვლის მიზეზს. ისინი ასახლებენ მათ. ბერია და მისი ძმაბიჭები ქართველებს ვერ დაენდვენ და ეს საგმირო საქმე სომხებს დაავალეს, ისინიც პირნათლათ ასრულებენ ბატონის ბრძანებას. ისე კი ეს პატარა ფინიები ვერ დაიმსახურებენ წყალობას დიდი მურიებისაგან.

ბოლშევიკური სახე დიდი ხანია ცნობილია, მათ საქმიანობას ყველა ხედავს. მხოლოდ ამ უკანასკნელი იერიშებით კი ყოველივეს გადააჭარბეს. დღეს ტფილისიდან დევნიან ქართველებს და მასთან ერთად სხვა ეროვნებათა მშრომელ მოსახლეობას, მაგრამ ამ უბედურებასაც გაუძლებს ის ხალხი, რომლებსაც სხვა ათასი ბრძოლები გადაუტანიათ. თუ ბოლშევიკური ლექსიკონით პასპორტიზაცია ნიშნავს დარბევას, გადასახლებას და აწიოკებას. ხალხის გულის ლექსიკონში კი სწერია: ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

ვულკანი.

16 ოქტომ., 1933 წ. ტფილისი.

P.S. 11 ოქტომბერს, მიმოსვლის ქუჩაზე არსებულ სახლში მცხოვრებმა, რომელსაც წილად ხვდა გასახლება, მოკლა უფროსი მილიციონერი ზაქარეიშვილი.

ვულ.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა და პოლიტიკა

მეოთხე ინტერნაციონალი.

უდიდეს კრიზისს განიცდის და მუდმივ რღვევის პროცესში იმყოფება დღეს მესამე ინტერნაციონალი. თუ ამ 7-8 წლის წინეთ კომინტერნი თავმომწონეთ ლაპარაკობდა ზოგ მის სექციებზე, ეხლა ამ «სახელოვან» სექციებიდან მას ბევრი რამ აღარ შერჩა.

ინგლისის კომუნისტური პარტია მუდამ არარაობას წარმოადგენდა და ის ანგარიშში ჩასათვლელი არასოდეს არ ყოფილა. მაგრამ მემარცხენე ტრედუნიონებთა შორის 1926-27 წლებში პროფინტერნი 700.000 მიმდევარს ითვლიდა. დღეს ეს მოძრაობა მთლიანათ გამქრალია და მასზე არავინ აღარ ლაპარაკობს. კომინტერნის უძლიერეს სექციას. გერმანიის კომუნისტურ პარტიას მხოლოთ რამოდენიმე ათასი წევრი შერჩა. საფრანგეთში კომუნისტების რიგები დღითი დღე მცირდება და მათი უნიტარული პროფესიონალური კავშირების წევრთა რიცხვი 500.000-დან 100.000 მდე ჩამოქვეითდა. რამოდენიმე ფრაქციებათ არის დაყოფილი ჩეხოსლოვაკიის კომპარტია, რომლის ერთი თვალსაჩინო ნაწილი სოც.-დემოკრატიას შეუერთდა. სუსტი და ყოველივე პოლიტიკურ წონას მოკლებულია კომუნისტური პარტიები ბელგიაში, ავსტრიაში, სკანდინავიის ქვეყნებში, შვეციაში, ისპანიაში, ფინლიანდიაში და სხ. ევროპის მუშათა მოძრაობა გაუსხლტა ხელიდან კომინტერნს და ის ეხლა თავის იმედებს ჩინეთის კომუნისტებზე ამყარებს.

ტროცკი კომინტერნის გაკოტრებას სავსებით მოსკოვის ხეპრულ. ამორალურ და მოსყიდვის პოლიტიკას აწერს («ოპოზიციის ბიულეტენი» № 38 39). სტალინმა გარყვნა კომინტერნი, გზა-კვალი აუბნია მას და, რასაკვირველია, ასეთ პირობებში ის სულს ლაფავსო. იმეორებდა რა სტალინის დირექტივებს, კომინტერნი ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ამტკიცებდა, რომ ფაშიზმსა და დემოკრატიის შორის განსხვავება არ არის, რომ ფაშიზმი და სოციალდემოკრატია ერთი და იგივეა, რომ ფაშიზმის გამარჯვება სოც.-დემოკრატიაზე პროლეტარულ რევოლიუციას აახლოვებსო. გერმანიის ამბებმა კი ცხადჰყვეს მოსკოვის პოლიტიკის დანაშაულობა მუშათა კლასის და ისტორიის წინაშეო. ტროცკი ხაზს უსვამს იმას, რომ გერმანიის ამბების შემდეგ ევროპის მუშათა კლასში მოხდა ერთნაირი გარდატეხა და მისი გამემარცხნება. ასეთ მომენტში კი მესამე ინტერნაციონალი სავსებით ირიყება და კოტრდება. ტროცკი მიმართავს თავის მომხრეებს რჩევით დაარსონ მეოთხე ინტერნაციონალი და გარს შემოიკრიბონ ყველა ნამდვილი კომუნისტური ძალები. მათ პირველ საორგანიზაციო კრებას უკვე ქონდა ადგილი. მათი დამოკიდებულება სოციალისტებისადმი შემდეგია: დემოკრატიისათვის ბრძოლაში მხარის დაჭერა; კანონმდებლობითი და აღმასრულებელი ძალაუფლების ერთი პალატის ხელში თავის მოყრა, ძლიერი დემოკრატიული მთავრობისათვის ბრძოლა და მისი მხარის დაჭერა. მაგრამ ასეთი ტაქტიკა ჩვენ ხელს ვერ შეგვიშლის ამავე დროს გავაკრიტიკოთ დემოკრატიული რეჟიმი, ან რაიმე პოლიტიკური პასუხისმგებლობა ავიღოთ სოციალისტური მთავრობისათვის. გაძლევთ მხოლოთ სიტყვას, რომ ჩვენ ვიბრძოლებთ თქვენთან დემოკრატიული მთავრობისათვის ბურჟუაზიულ რეაქციის წინაალმდეგ, არასოდეს არ დაუშვებთ იმას, რაც მოხდა გერმანიაში. კიდევ მეტი, ჩვენ ვალდებულებას ვიღებთ ჩვენ თავზე არ მივმართოთ რაიმე რევოლიუციურ მოქმედებას, რომელიც კი გასცილდება და გამოვა დემოკრატიის ჩარჩოებიდან, სანამ მუშათა უმრავლესობა შეგნებულათ არ დამდგარა რევოლიციურ დიქტატურის მხარეზეო, ამბობს ტროცკი—მეოთხე ინტერნაციონალის ორგანიზატორი.

ტროცკი, რომელმაც რუსეთის დემოკრატიის დასამარებაში უდიდესი როლი ითამაშა, ცდილობს ეხლა გონს მოვიდეს და თავისი დანაშაული მუშათა კლასის და ისტორიის წინაშე გამოისყიდოს. მაგრამ მეოთხე ინტერნაციონალის ლაშქარი დღეს გაცილებით მეტ არარაობას წარმოადგენს, ვიდრე მესამისა, და არ არის არავითარი საბუთი ვიფიქროთ, რომ მას მომავალში ექნეს რაიმე წონა და მნიშვნელობა ევროპის მუშათა მოძრაობაში.

გერმანიის სოც.-დემ. ახალი პროგრამა.

გერმანიის სოციალდემოკრატიის ცენტრალურ კომიტეტმა გამოაცხადა პროგრამული ხასიათის დეკლარაცია პარტიის ახალ ამოცანებზე ფაშისტურ დიქტატურის პირობებში. დეკლარაციაში ნაჩვენებია ის ზომები და გზები, რომლის შემწეობით პარტიას მიეცემა საშუალება ფაშისტურ დიქტატურის დაძლევისა და სოციალურ რევოლიუციის დაწყებისა.

ნაციონალ-სოციალისტურ დიქტატურის წინაალმდეგ ბრძოლაში, ამბობს დეკლარაცია. არ შეიძლება იყოს კომპრომისები, იქ არ აქვს ადგილი არც რეფორმიზმს და არც ლეგალიზმს. სოციალდემოკრატიული ტაქტიკა დღეს განისაზღვრება სავსებით ძალაუფლების დაპყრობით და მის დამაგრებით სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელათ.

ნაციონალ-სოციალისტებზე რევოლიუციურ მასების გამარჯვების შედეგი იქნება მაგარი რევოლიუციონური მთავრობა, რომელიც მუშათა კლასის მასიურ პარტიას დაემყარება და მის კანტროლს დაემორჩილება. ამ მთავრობის პირველი და უმთავრესი ამოცანა იქნება რევოლიუციური, ძალაუფლების დამყარება და კონტრ-რევოლიუციის შესაძლებლობის ძირიანათ მოსპობა. ამ მიზნით მთავრობა მიიღებს შემდეგ ზომებს: საიმედო სამხედრო ძალების და პოლიციის შექმნა; ოფიცერთა ძველი კადრების გადახალისება; ბიუროკრატიის გაწმენდა და ხელმძღვანელ თანამდებობებზე ახალი პირების დანიშვნა; იუსტიციის რადიკალური რეფორმა და იქ არა ჩინოვნიკურ ელემენტთა გაძლიერება; გაუქმება ყველა იმ კანონებისა, თუ განკარგულებებისა, რომელიც ზღუდავენ მუშათა კლასის უფლებებს და შემოღებულ იქნა ნაციონალ-სოციალისტების მიერ; სრული პოლიტიკური თანასწორობა განურჩევლათ რასისა და რელიგიისა; ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა; აღკვეთა ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციურ აგიტაციისა; გამოცემა რევოლიუციონურ მთავრობის მიერ აუცილებელ სოციალურ, ეკონომიურ და ფინანსიურ კანონებისა.

ძველი პოლიტიკური აპარატის დარღვევა შესაძლებელია იმ სოციალური ბაზის მოშლით, რომელზედაც ეს აპარატი ეყრდნობა. ამ მიზნით აუცილებელია: მსხვილ მიწათმფლობელობის დაუყონებლივ ექსპროპრიაცია; ტყეები გადაეცემა სახელმწიფოს; სათესი მიწები მოხმარდება გლეხთა კოლონიზაციას და სოფლის მუშათა კოოპერატიულ მეურნეობას; მძიმე მრეწველობის გამოუსყიდველათ ექსპრორიაცია; მსხვილი ბანკების ნაციონალიზაცია და მათი გამგეობების სახელმწიფოს მიერ დანიშვნა.

მხოლოთ იმის შემდეგ, რაც კონტრ-რევოლიუციის ბაზა სავსებით მოშლილი იქნება და რევოლიუციური ხელისუფლება დამკვიდრდება, დაიწყება მუშაობა დემოკრატიული სახელმწიფოებრივობის შესაქმნელათ; მოწვეულ იქნება სახალხო წარმომადგენლობა საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და საიდუმ. ხმის მიცემის ნიადაგზე. სახალხო წარმომადგენლობა ირჩევს მთავრობის თავმჯდომარეს, ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ ნიშნავს მინისტრებს.

მუშათა კლასის ამოცანა იქნება ახალ სახელმწიფოში გამოიყენოს ხალხური ძალაუფლება, რომელიც მან ბრძოლით მოიპოვა. სოციალისტური რეჟიმის დასამყარებლათ. ბანკების, მსხვილი მიწათმფლობელობის და მძიმე მრეწველობის ნაციონალიზაცია არ წარმოადგენს მის საქმიანობის დამთავრებას, ის მხოლოთ დასაწყისია კაპიტალისტური საზოგადოების სოციალისტურათ გარდაქმნისა.

პ.

პარტიული პროგრამისათვის

«ბრ. ხმ.» მე 39 №-ში დაბეჭდილია ორი წერილი ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტის შესახებ. ერთი ეკუთვნის ამხ. კ. კ.-ს, მეორე—ამხ. ი. ჭავჭანიძეს. ორივე წერილი მიმართულია უმთავრესად იმ ნაწილის წინაალმდეგ, რომელიც აღნიშნულია პროექტში სათაურით: «სოციალურ სფეროში».

რა იწვევს უთანხმოებას და რაშია განსხვავება?

განვიხილოთ სადაო ნაწილი მუხლდამუხლ.

პირველი მუხლი პროექტისა ამ სფეროში (31) მოითხოვს საბჭოთა ქონების ექსპროპრიაციას ხალხის მიერ. ამ მუხლის წინაალმდეგ ამხ. კ. კ. არას ამბობს. არსებითად არც ამხ. ჭავჭანიძე ეკამათება მას. მას არ მოსწონს მხოლოდ სიტყვა ექსპროპრიაცია, რადგან შიშობს «ხალხის ფართო მასებში იგი შეიძლება იქნეს გაგებული, როგორც მოწოდება სახელმწიფო ქონების დასატაცებლათ»-ო.

სიტყვა ექსპროპრიაცია ჩვენში არ ახალია. მას ორმოცი წლის განმავლობაში ხმარობენ ჩვენს ლიტერატურაში, პრესაში, ზეპირ პროპაგანდა-აგიტაციაში, მიტინგებზე და ყოველნაირ კრებებზე. ის მივარდნილ კუთხეებშიაც კი არა ერთხელ გაუგონიათ, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში არსად არ ყოფილა არც ერთხელ გაგებული «როგორც მოწოდება დასატაცებლათ». მარა, თუ გამოირკვა რომ ასეთი შიში სხვებსაც აქვს, ჩვენ არაფერი უნდა გვქონდეს იმის წინაალმდეგ რომ ეს ტერმინი შეიცვალოს უფრო კეთილსაიმედო თანაბარი ტერმინით.

მეორე მუხლი (32) განმარტავს თუ რა უნდა უყოს სახელმწიფომ იმ ქონებას, რომელიც ჩამორთმეული იქნება თანახმად 31 მუხლისა. პროექტი ამბობს: ამ ჩამორთმეული ქონებიდან წვრილი წარმოება და საკუთრება უბრუნდება იმათ, ვისაც ჩამოერთვა, ხოლო მსხვილი წარმოება და საკუთრება რჩება სახელმწიფოს ხელში... აი ეს მუხლია რომ ყველაზე მეტად აფიქრებს აღნიშნულ ამხანაგებს.

ამხ. კ. კ. სრულიად დამაჯერებელი საბუთებით ამტკიცებს, რომ ამ შემთხვევაში მეტისმეტი სიფრთხილე, მეტისმეტი წინდახედულობა და დაკვირვება გვმართებს. მას მოჰყავს კაუცკის და ბერშტეინის აზრი, რომლებიც ამ საკითხში «თანდათანობითი პრინციპის, ეტაპების და დიდი დაკვირვების მომხრენი იყვენ». სრულიად სწორია და ამ სიფრთხილეს, ამ თანდათანობას ამხ. კ. კ-სთან ერთად მეც სავსებით ვიზიარებ. მან იცის აგრეთვე რომ ჩვენი პარტია მთლიანად ასეთი ფრთხილი მეთოდით ხელმძღვანელობდა თავის საქმიანობაში და ეს მეთოდი, როგორც თვითონ აღნიშნავს, კაუცკიმ საჯაროთ მოიწონა თავის წიგნში.

დიახ, ყველაფერი ეს სწორია. მარა საქმე იმაშია რომ მთელი ეს ზომიერება, მთელი ეს თანდათანობა, არ ეხება სადაო საგანს. ის ეხება სადაო საკითხის იმ ნაწილს, რომელიც წინაალმდეგ ჩვენი სურვილისა, წინაალმდეგ ყოველგვარი საღი აზრისა და შეხედულებისა, ასე ველურათ, ასე ბარბაროსულათ, ასე ტლანქათ გადასწყვიტეს კომუნისტებმა. ესაა საკითხი ჩამორთმევის შესახებ. რომ ჩვენს წინაშე ეხლა ეს საკითხი იდგეს—ამხ. კ. კ-ს საკამათო არაფერი ექნებოდა, ეხლა კი რამდენათ საკითხის ეს მხარე (ჩამორთმევა) 15 წელია სხვების მიერ უკვე გადაჭრილია—იმდენათ ზემოთ მოყვანილი მოსაზრებანი უმიზნოა და ჩვენი დავის გარეშე დგას.

საკითხი ასე დგას: რა უყოთ იმ ქონებას, რომელიც ვიმეორებ, სხვებმა, სრულიად წინდაუხედავად და მიუხედავად ყოველგვარი თანდათანობითი პრინციპისა მაინც ჩამოართვა მეპატრონეთ და ახლა სახელმწიფოს ხელში გადმოვა? ამხ. კ. კ პროექტთან ერთად ამბობს, რომ «მთელ იმ საკუთრებს, რაც დღეს საბჭოთა ხელისუფლებას წარმოადგენს უნდა დაეპატრონოს განახლებული სახელმწიფო».

შემდეგ? პროექტი ამბობს: წვრილი წარმოება, წვრილი საკუთრება უნდა დაუბრუნდეს იმათ ვისაც ჩამოერთვა, ხოლო მსხვილი წარმოება და საკუთრება რჩება სახელმწიფოს ხელში. ამხ. კ. კ. კი სწერს: «სახელმწიფომ უნდა დაიტოვოს საბოლოვოთ თავის განკარგულებაში მხოლოდ ის დარგები მრეწველობისა, რასაც იგი მოერევა ნივთიერად და ორგანიზაციულად და სხ.» მარა პროექტი სრულიად არ გულისხმობს რომ თუ სახელმწიფო ვერ მოერევა და ვერ შესძლებს გაძღოლას მაინც უნდა დაიტოვოს თავის ხელში ყოველგვარი წარმოება. მაშასადამე აქ არავითარი პრინციპიალური განსხვავება არ არის. დავა შეიძლება იყოს მხოლოდ რაოდენობის და შესაძლებლობის ნიადაგზე და ეს ისეთი საკითხია, რომლის მოწესრიგება არც ისე ძნელია.

მარა ამით არ კმაყოფილდება ამხ. ჭავჭანიძე. ის ისე შორს მიდის რომ აცხადებს: «მსხვილი წარმოებისა და საკუთრების ხალხის ხელში დატოვება სახალხო სოციალური ეკონომიის ასაგებათ, როგორც ამას გულისხმობს პროექტი, გაძარცვულ კოლონიათ ქცეულ ჩვენი ქვეყნისთვის ნაადრევი და მეტად საშიში ექსპერიმენტი იქნება»-ო. ამიტომო—განაგრძობს ის—«სახელმწიფომ უნდა დაიტოვოს ის, რასაც განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. დანარჩენს კი ლიკვიდაცია უნდა მოუხდინოს გაყიდვის, იჯარით გაცემით თუ რომელიმე სხვა საშუალებით»-ო და ასკვნის: «აქედან ცხადია, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღდგენა და მისი სამეურნეო ურთიერთობის განვითარება იწარმოებს კაპიტალისტურის წესით»-ო.

ეს გრძელი ამონაწერი სავსებით ნათელ ყოფს ამხ. ჭავჭანიძის მთელ შეცდომას. ის ფიქრობს რომ თუ სახელმწიფომ მსხვილი საკუთრება და მსხვილი წარ-

ჩ ვ ე ნ ი დ რ ო ი ს ე ვ რ ო პ ა

3. პოლიტიკა.

ცნობილია, რომ ცხოვრებაში იმარჯვებენ ის იდეები, რომელნიც ეთანხმებიან და ხატავენ ისტორიის ობიექტურ მსვლელობას. ამ მსვლელობის დღევანდელი ძირითადი ნიშნები ნათელია. ერთი მხრით დგას კაპიტალისტური წარმოების უაღრესი განვითარება, კაპიტალის უმაგალითო კონცენტრაცია, აუარებელი სიმდიდრის დამზადება, მეორე მხრით კი ეკონომიური კრიზისი, უმუშევრობა, მასების დაღარიბება და საზოგადოების აფორიაქება. მიზეზი და შედეგი აშკარაა: წარმოებასა და მოხმარებას შორის კავშირი გარღვეულია, მათ შორის წინაალმდეგობა საქვეყნოთ გამოაშკარავებულია და მაშასადამე გამოსავალიც მონახულია. ამ გარღვეული კავშირის აღდგენა, ამ წინაალმდეგობათა მოსპობა არის ერთათ ერთი შესაძლებელი გამოსავალი. მაგრამ რა ფორმებით, ძველით, დღევანდელით თუ ახალით?

ძველი საწარმოვო ფორმა ისტორიამ გადალახა; მისი საფუძველი—თავისუფალი კონკურენცია ობიექტიურათ შეუძლებელია. კაპიტალიზმის თანამედროვე წესები სპობს მას, ის ვეღარ ეტევა მის ფორმებში. საწარმოვო მონოპოლია ბუნებრივათ უარყოფს თავისუფალ წარმოებას. რაკი საქონლის დამუშავება ვეღარ ითმენს კონკურენციას, ცხადია ვერც მისი გასაღება უნდა ითმენდეს. მაშასადამე ორივე ამ ეკონომიური მოვლენის ერთ ხაზზე აწყობა აუცილებელია. და სწორეთ ამის ცდაა დღეს. მაგრამ ამ ცდაში გამოტოვებულია მესამე უმაღლესი მომენტი, რაც თავდაყირა ატრიალებს მთელ ამ ცდას. ის არ არის შეთანხმებული მოხმარებასან, ხალხის მოთხოვნილებასან. დღესაც ისე არავინ იცის ვის რამდენი საქონელი ეჭირვება, როგორც არ იცოდენ თავისუფალი კონკურენციის ხანაში. ე. ი. არ ხდება შეფარდება, მოთახმება წარმოებას და მოხმარებას შორის. ამიტომ ყველა ეს რეფორმატორული ჭაპან წყვეტა ყინულზე დაწერილი თამასუქია, ის ოდნავათაც ვერ ანელებს კრიზის და ვერ უკაფავს საზოგადოებას გზას. ის ერთ ალაგას იბეკნება. წარმოების და ნაწარმოების მომხმარებელისათვის მიწოდების რეორგანიზაცია ისეთ ფორმებში, რომელიც შეუძლებლათ ყოფს ერთ და იმავე დროს სიმდიდრის დაგროვებას და ხალხის გალატაკებას—აი თანამედროვე ეპოქის უმთავრესი ამოცანა. მაგრამ ეს ვერ გატარდება ეკონომიური კანონების, ისტორიული პირობების გარეშე. ფინანსიური ბურჟუაზიის ინტერესი სრულიად არ ეთანხმება არც წარმოების ინტერეს, არც ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ხოლო წვრილი ბურჟუაზიული სულისკვეთება საშუალო კლასებისა სრულიად ვერ თავსდება სხვილ ბურჟუაზიულ საწარმოვო ურთიერთობასან და მასზე აგებულ საზოგადოების სტრუქტურასან. ერთი ეწევა საზოგადოებას მის ბუნებრივი ბაზიდან უგზო უკვლოთ, ხოლო მეორე ეწიწება მას უკან, ძველი კარგი დროისაკენ, როცა ქვეყნათ ბატონობდა წვრილი წარმოება. ორივე ეს მიმდინარეობა უტოპიურია და ის უკვე ამუშავებისთანავე კოტრდება. საკმარისია მოვიგონოთ ხორბლის ფასების ფიქსაცია საფრანგეთში. ის მიუღებელი აღმოჩდა მეურნეთათვის და, როგორც პალატის სხდომაზე გამოირკვა. მას ქურდულათ არღვევდენ. ე. ი. პალატის განჩინებამ ვერ დაარღვია ცხოვრების განჩინება. გლეხი ყიდის თავის ნაწარმოებს დაკანონებული ფასების ქვევით ან გაჭირებით, ეჩქარება, ან და მისი სამუშაო პირობები ნებას აძლევს ფასი დაუწიოს და მაინც მოიგოს. მაგარი სავალდებულო ფასები კი გულისხმობს, თითქოს ყველა მეურნე ერთნაირ საწარმოვო და მატერიალურ პირობებშია, აშკარა სიბრიყვე, გზა-დაბნეულ რეფორმატორების მიერ გამოგონებული.

საზოგადოთ, მოტყუება ცხოვრების, მისი რკინის კანონების, მისი ძირითადი ეკონომიური ურთიერთობის შეუძლებელია; ფასების ხელოვნურათ ერთ დარგში აწევა იწვევს ბუნებრივათ ფასების სხვა დარგებში აწევას და მაშასადამე საზოგადოება მთლიანათ და მისი ნაწილები ცალ-ცალკე ვერას იგებენ. თხვა ვიყიდე, თხა გავყიდე, მოსაგები ვერა ვნახე. ამ მხრით ტრაღი კომიკურ მდგომარეობაშია რუზველტი. მან ასწია ფასები სამეურნეო ნაწარმოების, ფერმერები «გაკეთდენ», მეტი ფული აიღეს, მაგრამ როგორორც იწყეს ამ თანხის ხარჯვა, საჭირო საქონლის ყიდვა, დაინახეს, რომ ყველაფერი გაძვირებულა და ჯიბეცარიელი დარჩენ. დაიწყო მოძრაობა, ორი მილიონი ფერმერი გაიფიცა. ქალაქებს ბოიკოტი გამოუცხადეს; დაფაცურდა «ტვინის ტრესტი», უბრძანა ვაჭრებს ფასები არ ასწიონ... ერთი სიტყვით ის ცდილობს წაართვას ერს ქონების ერთი ნაწილი და შემდეგ ის აჩუქოს იმავე ერს, სიზიფის ცნობილი შრომა.

აშკარაა, მთელი ეს უტოპიური რეფორმიზმი არ შეიძლება არ გათავდეს კრახით და საზოგადოებას არ დაუდგეს გადასაჭრელათ გადაუჭრელი კითხვა: რა უშველის. ნაცადია ყველა გზა: სამრეწველო ბურჟუაზიას დაეკარგა გეგემონია ფინანსიური ბურჟუაზიის სასარგებლოთ. ამ უკანასკნელმა მოგვცა უდიდესი მსოფლიო კრიზისი. წვრილი ბურჟუაზიული მალამო კოტრდება. ყველა კლასმა მოჭამა თავისი დრო და თავისი შესაძლებლობა; დარჩა ერთათ ერთი კლასი, რომლის სოციალური დოქტრინა არ გატარებულა და მისი გზა არ ცდილა, ეს არის მწარმოებელი პროლეტარიატი, კლასი ნაციონალური სიმდიდრის შემქნელი და ყველა არა-მწარმოებელ კლასების მარჩენალი. დღევანდელი საყოველთაო ანტი-მარქსისტული კოალიცია არის არსებითათ მიმართული არა მარქსისტული სოციალიზმის, სამრეწველო პროლეტარიატის დოქტრინის წინაალმდეგ, რაიცა დღეს მუშათა კლასის ასპარეზიდან განდევნილია, არამედ წინაალმდეგ გამნაწილებელ კლასების სოციალიზმისა, რაიცა დღეს მუშათა პოლიტიკის ავანგარდშია და რასაც არაფერი საერთო არ აქვს პირველთან. აი ეს შეგნება დღეს იწყებს გზის გაკაფვას სოციალისტურ პარტიებში. დგება ბრძოლის ახალი ლოზუნგები, წამოყენებულია სოციალური რევოლიუციის აუცილებლობა, მაგრამ მთელ ამ მშვენიერ კამპანიას თან ახლავს მისი დამარღვეველი პოლიტა, ხალხის ფართე მასების ჩამოშორების «რეფორმიზმი», ნაკარნახევი პარაზიტული ფენების ინტერესებით.

ავხსნათ.

სოციალური რევოლიუციის, უბრალო სოციალური რეფორმის გატარებაც კი მოითხოვს ერის უმრავლესობის დარაზმვას ერთ საერთო პლატფორმაზე. არასოდეს არც ერთი რევოლიუცია არ მომხდარა ხალხის ფართე მასების ინტერესის წინაალმდეგ. რუსეთის უკახასკნელი რევოლიუციაც კი. რომლის მაგალითი პირზე აკერიათ, ემორჩილება ამ საერთო ისტორიულ აუცილებლობას; მან გაიმარჯვა იმით, რომ მას ეხმარებოდა გარდა მუშებისა, მთელი გლეხობა, მთელი საშუალო კლასები. მართალია ამ რევოლიუციურ მასას შემდეგ მოაჯდა გაბატონებული საბჭოთა ხელისუფლება და დიქტატურის საშუალებით დაიმორჩილა ის, მგარამ ეს ხომ რევოლიუციის ბოლო ეტაპია, მისი დასრულებაა, რაიცა ხშირათ მომხდარა ისტორიაში. ხალხს დაურჩა იმდენი ძალა რომ ძველი ბატონები თავიდან მოიშოროს, მაგრამ არა იმდენი რომ თავისთავს უბატონოს. ეს ძველი ამბავია.

ერთი სიტყვით, მარქსისტული სოციალიზმი რევოლიუციას უყურებს როგორც ერის უმრავლესობის ამოძრავებას უმცირესობის წინაალმდეგ. მაშასადამე, «პუჩი», ამბოხება, შეთქმულობა გამორიცხულია. სავალდებულოა მხოლოდ ისტორიულათ რევოლიუციურ კლას ემხრობოდეს ყველა სხვა უკმაყოფილო კლასები და მით ის გადაიქცეს მთელი მოძრაობის მეთაურათ. ეს ერთი კლასის მიერ გამოხატვა მთელი საზოგადოების მიდრეკილების შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ის «საერთო უფლების სახელით ითხოვს საზოგადო სუპრემატიას... რომ ხალხის რევოლიუცია და ერთი კლასის ემანსიპაცია ბურჟუაზიული საზოგადოებისა შეთავსდეს, ერთი კლასი რომ წარმოადგენდეს მთელ საზოგადოებას, საჭიროა. პირიქით, საზოგადოების მთელი სიდუხჭირე თავმოყრილი იყოს მეორე კლასში, რომელიც წარმოადგენს საერთო სკანდალს, განსახიერებას საზოგადო დაბრკოლების»...*) კომ. მანიფესტი ხაზგასმით ჩამოთვლის ყველა იმ საშუალო კლასებს. რომელიც უნდა დადგენ პროლეტარიატის გვერდით რევოლუციურ ბრძოლაში. ავტორებ ესეც არ მაჩნიათ საკმარისათ და სწერენ: «იმ დროს როცა კლასთა ბრძოლა უახლოვდება გადამწყვეტ მომენტს, გაბატონებული კლასის, მთელი საზოგადოების რღვევის პროცესი ისე მკაცრათ წარმოებს, რომ ერთი ნაწილი გაბატონებული კლასისა შორდება თავის კლას და ემხრობა რევოლუციურ კლას, რომელიც წარმოადგენს მომავალს».

ამ ნაირათ, მცირე რიცხვიან გაბატონებულ კაპიტალისტებს ეპირდაპირება მთელი ერი პროლეტარიატის მეთაურობით სოციალიზმის დროშის ქვეშ თავმოყრილი. რევოლუცია ჩადგება. აი ნამდვილი მარქსისტული გაგება რევოლუციის, რომელიც ძირეულად უარყოფს თანამედროვე გაგებას, როგორც ცდას სოციალიზმის განხორციელებისა ხალხის ფართე მასებთან დაპირდაპირებით, პროლეტარიატის [illegible] და სოციალისტური სექტარიზმის გამეფებით.

მაშასადამე, მომავალი პროლეტარული რევოლუცია გულისხმობს ორ მომენტს: შემჭიდროებულ პროლეტარიატის პოლიტიკურ სუპრემატიას დაქირავებულთა შორის და საშუალო კლასების მომხრობას; ეს არის რევოლუცია უმრავლესობის და მას ატარებენ მწარმოებლები, ყველა არა-მწარმოებელი უკმაყოფილო კლასები მათ მისდევენ და ზურგს უმაგრებენ.

ეს ორი მომენტი თავის მხრივ მოითხოვს პარაზიტული ფენების დათმობას მომხმარებელი სოციალისტური [illegible] მუშათა კლასში და წვრილ მწარმოებელთა ინტერესების წინ წამოწევას საშუალო კლასებში. [illegible] კლასები ერთიანათ განწყობილია ანტიკაპიტალისტურათ, მუშაც და წვრილი მესაკუთრე, [illegible]

---

*) მარქსი: ჰეგელის უფლების ფილოსოფიის კრიტიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოება თავის ხელში დაიტოვა—ამით წარმოების კაპიტალისტური წესი იცვლება სოციალისტურით.

მე მეჩვენება რომ რამდენიმეთ ასეთ შეხედულებას ამხ. კ. კ-ც იზიარებს, როცა სწერს: «საკითხს ხელისუფლების მოპოება კი არ სწყვეტს, არამედ «ფაზა» ეკონომიური განვითარების»-ო. ხოლო ცოტა ზევით კიდევ მოჰყავს კაუცკის აზრი «მეურნეობის განსაზოგადოებრივობის» საკითხში.

ვფიქრობთ რომ არც ერთი ზევით მოყვანილი აზრები და არც კაუცკის მოწმობა არ ეხება სადაო საკითხს. და ეს იმიტომ რომ სახელმწიფოს ხელში მსხვილი საკუთრების და წარმოების დატოვება სრულიად არ ნიშნავს წარმოების არც სოციალისტურ წესს და არც მისი კაპიტალისტური ბუნების გამოცვლას. კაუცკი და ბერნშტეინიც კი სწორეთ ამას ეხებიან.

რას ნიშნავს წარმოების კაპიტალისტური წესი? ეს ნიშნავს დამზადებას საქონლისას (გასაყიდი ნივთები). მის ბაზარზე გატანას და იქ გაყიდვას თავისუფალ კონკურენციის ნიადაგზე. გაყიდვიდან რჩება მოგება. ამ მოგების ნაწილი ისტუმრებს წარმოების დანახარჯს. ნაწილი ემატება საწარმოვო კაპიტალს წარმოების გასაფართოებლათ, ხოლო ნაწილი რჩება მწარმოებლის თავისუფალ განკარგულებაში. რა იცვლება ამ მხრით პროექტის მიხედვით? იცვლება მხოლოდ ერთი. ისა რომ მოგება მიდის არა კერძო პირის ჯიბეში, არამედ საზოგადოების კასაში. თვით წესი წარმოებისა კი ამის გამოკლებით რჩება არსებული, ე. ი. კაპიტალისტური და მაშასადამე გულისხმობს იმ «ფაზებს», რომლებსაც ასახელებს ამხ. კ. კ. «კაპიტალისტური საწარმოვო წესის შენახვა, მისი განვითარების ხელის შეწყობა—სწერს ბერნშტეინი—კიდევ არ ნიშნავს იმას რომ ეს წარმოება სავსებით უნდა დარჩეს ისე, როგორც იყო დღემდე. შეიძლება შევინახოთ ფორმა წარმოების, მარა შევცვალოთ მისი უფლებრივი ურთიერთობა. ამასთან ერთად შეიძლება შევცვალოთ მისი განაწილების ხასიათიც. ასე რომ—ასკვნის ის—შეიძლება შევინახოთ სამეურნეო ფორმა და წარმოების ტიპი და ამავე დროს მის სტრუქტურაში, მის მართველობის ხასიათში მოვახდინოთ მთელი გადატრიალება» *).

ამ რიგათ, კაპიტალისტური წარმოების სტრუქტურაში უფლებრივი ცვლილების შეტანა სრულიად არ ნიშნავს წარმოების სოციალისტურათ გარდაქმნას. ამიტომაა რომ პროექტი ასე გარკვევით ამბობს: ეს არაა სოციალიზმიო. მაგრამ ამავე დროს არც კაპიტალიზმია სავსებით. მაშ რა არის? არის პროექტის მიერ აღნიშნული «გარდამავალი ხანა» და რომ ეს «გარდამავალი ხანა» უნდა იქნეს შეტანილი სოციალისტურ პროგრამაში ამას მოითხოვს და ასაბუთებს კიდეც კაუცკი. «ზომები ამ გარდამავალი ხანისათვის—სწერს ის—უნდა იქნას ეხლა შეტანილი პროგრამაში, რადგან ჩვენ აღარ შეგვიძლია ეხლა დავკმაყოფილდეთ ამ შემთხვევისათვის ზოგადი წარმოდგენით»-ო **).

პროექტის მე-33 მუხლი სახალხო ეკონომიის ორგანიზაციულ ფორმათ აღიარებს—სახელმწიფოს, თემს, ერობას, ამხანაგობებს. ამხ. ჟავჟანიძეს მოჰყავს ეს ადგილი და დაასკვნის: «ცხადი იქნება, რომ სახელმწიფო, ერობა და თემი, ე. ი. მთავრობა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები გამოდიან მწარმოებლის როლში». ცოტა ქვევით კიდევ: «მთავრობა მოაწყობს ერთ ზედმეტ კანცელიარიას, რომელშიდაც მოთავსდებიან მთავრობის მიერ დანიშნული მოხელეები» და სხ.

საიდან გამოიყვანა ასეთი დასკვნა ამხ. ჟავჟანიძემ? პროექტის არც ერთი ადგილი, არც ერთი სიტყვით არ ამბობს რომ სახელმწიფოს ხელში დატოვებული ქონება გადაეცემა მთავრობას და რომ ის უნდა გამოვიდეს «მწარმოებელის როლში»-ო! პირიქით. ყოველგვარი გაუგებრობის ასაცილებლათ პროექტში არის სპეციალური მუხლი (34) რომელიც ამბობს: «სახელმწიფო, სათემო და საერობო ეკონომიური დარგები ეწყობიან სრულიად დამოუკიდებლათ მათი იძულებითი აპარატისაგან და მუშაობენ თავის საკუთარი წესებით». მეორე ადგილას (40): «სახელმწიფო თუ სათემო იძულებითი აპარატები არ ერევიან მათ მუშაობაში»-ო.

მაშ საიდან გაჩნდა ეს «ერთი ზედმეტი მთავრობის კანცელიარია»? ეს «მთავრობის მწარმოებელის როლში გამოსვლა»? ცხადია ამხ. ჟავჟანიძე სახელმწიფოს და მთავრობას ერთ და იმავეთ სთვლის და ამ შეცდომიდან გამომდინარეობს სხვა დანარჩენი. რაღა თქმა უნდა რომ «მთავრობის მწარმოებელის როლში გამოსვლა მიუღებელია და რომ ასეთი რამ იყოს პროექტში ის მართლაც მიუღებელი იქნებოდა.

ვინ უნდა განაგებდეს, ვინ უნდა ხელმძღვანელობდეს აღნიშნულ წარმოებებს? ამის შესახებ სოც. ლიტერატურაში არსებობს მთელი რიგი შეხედულებათა.

ბაუერი სწერს: ვინ განაგებს ასეთ წარმოებებს? მთავრობა? არას შემთხვევაში. მაშ ვინ? განსაკუთრებული გამგეობა, რომლის წევრების ერთ ნაწილს ირჩევენ მუშები, მოსამსახურენი და მოხელენი, რომლებიც მსახურობენ თვით წარმოებაში, მეორე ნაწილს ირჩევენ მომხმარებელნი, ხოლო მესამე ნაწილს სახელმწიფო, როგორც წარმომადგენელი მთელი ხალხის. ამ უკანასკნელთა ნაწილი შეიძლება იქნეს დანიშნული მთავრობის მიერ, ნაწილს კი აირჩევს პარლამენტი. ამ გვარათ შემდგარ გამგეობის ხელში გადავა უმაღლესი ხელმძღვანელობა ყველა ასეთ წარმოებათა *)-ო.

თითქმის ასეთივე აზრისაა კაუცკიც. ის სწერს: ხელმძღვანელობის გადამწყვეტი როლი უნდა ეკუთვნოდეს სამ ფაქტორს: მუშებს, მომხმარებელს, რომელიც დაინტერესებულია ამა თუ იმ ნაწარმოებში და ყველა დანარჩენ მოქალაქეთა წარმომადგენელს—სახელმწიფოს, დაყრდნობილს მეცნიერებაზე. ეს ორგანიზაცია უნდა იყოს ელასტიური და ადვილათ შესაგუებელი **).

ამასვე უახლოვდება გერ. სოც. კომისიის უმრავლესობის პროექტი გერმანიის ქვანახშირის სახელმწიფოს ხელში გადაცემაზე და მისი მართვა-გამგეობის შესახებ. დაბოლოს ჩვენ თვითონ გვაქვს საკუთარი პრაქტიკა. ჩვენში დაარსდა სახელმწიფო ბანკი, მარა ის არ ექვემდებარებოდა მთავრობას. პირიქით, მისგან დამოუკიდებელი იყო და თავის მოქმედების ანგარიშს აძლევდა მხოლოდ დამფ. კრებას. სწორეთ ასე—სახელმწიფო პარლამენტის საშვალებით ადვილათ შესძლებს გამონახოს შესაფერი ფორმა, რომელსაც არავითარი კავშირი არ ექნება ამხ. ჟავჟანიძის მიერ ნახსენებ კანცელიარიასთან და მის მოხელეებთან.

ამხ. კ. კ. სწერს: «კაპიტალისტური მეურნეობის პრინციპია—მოგება. მისი დანიშნულებაა სიმდიდრის სიმდიდრეზე დაგროვება» და სხ. და ფიქრობს რომ «განსაზოგადოებული მეურნეობა ვერ დაისახავს თავის უმთავრეს პრინციპათ ზედმეტი ღირებულების მითვისებას; მისი უმთავრესი დანიშნულება იქნება მომხმარებელთა საჭიროების დაკმაყოფილება და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესობა» და ეშინია რომ «ასეთ პირობებში ის ვერ გაუძლებს კაპიტ. ნიადაგზე დარჩენილ მეურნეობას და თავის გადასარჩენათ მოიხმარს ყოველივე გავლენას, რათა კანონების დახმარებით შინაური კერძო კაპიტალისტური წარმოება უკანონო შვილის პირობებში ჩააყენოს და გარეშე ქვეყნის ნაწარმოებს მაღალი ტარიფებით კარები ჩაუკეტოს, არ შემოუშვას»-ო.

სწორია ის რომ კაპიტალისტური მეურნეობის პრინციპია—მოგება. მარა არაა სწორი, ჩვენის აზრით, ის რომ სახელმწიფო წარმოებამ უნდა იმუშავოს უმთავრესად მომხმარებელთა საჭიროების დასაკმაყოფილებლათ. როგორც ზევითა ვთქვით, ის ფაქტი, რომ წარმოება სახელმწიფოს ხელშია სცვლის მხოლოდ მის იურიდიულ მდგომარეობას და არა თვით წეს წარმოებისას. წესი რჩება კაპიტალისტური და ეს კი გულისხმობს წარმოებას არა «მომხმარებელთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ», არამედ ბაზრისთვის და მაშასადამე მოგებისათვის. რომ ასეთ წარმოებებს მოგება უნდა ექნეს—ეს აზრი ისე მტკიცეა, რომ უმეტეს შემთხვევაში ამის შესახებ ლაპარაკიც კი ზედმეტად მიაჩნიათ. კაუცკის აზრით მოგება აუცილებელია, მარა ეს არ უნდა მოხდეს მუშათა გაყვლეფის გაძლიერებით, არამედ შრომის ნაყოფიერების გადიდებით, ისეთი წესების და ზომების მიღებით, რომელიც იმავე შრომის დახარჯვით ქმნიან მეტ საქონელს.

ამ რიგათ ყველა ეს წარმოებანი, როგორც პროექტი აღიარებს, «თავის გამართლებას პოულობენ ეკონომიურ საქმიანობაში და ვერასოდეს ვერ დააწვება ტვირთად მართველობის ბიუჯეტს». ამხ. ჟავჟანიძეს კი გონია, რომ «ეს არის უბრალო დეკლარაცია, რომელიც 100 შემთხვევაში 99-ჯერ ქაღალდზე დარჩება»-ო. რატომ? მას მოყავს შემთხვევა—როცა შესაძლებელია წარმოებამ იზარალოს და ეს ზარალი მთავრობის ბიუჯეტმა უნდა დაფაროსო. შესაძლებელია მართლაც დაზარალდეს ესა თუ ის წარმოება, მარა ეს სრულიად არ ჩაითვლება იმის საბუთად რომ სახელმწიფომ ხელი უნდა აიღოს საკუთარ წარმოებაზე. ეს შიში გადამწყვეტი მაშინ იქნებოდა, როგორც კაუცკი ამბობს, სახელმწიფოს ხელში რომ ერთად-ერთი წარმოება იყოს. მარა როცა მის ხელში წარმოებათა მთელი რიგია და ყველა ესენი ერთ «ეკონომიურ ქსელში» შედიან არც ისე ძნელი იქნება ერთი რომელიმე წარმოების ზარალის დაფარვა თუ მისი დავალიანებიდან დახსნა. კაუცკი იმასაც კი ამბობს, რომ «ასეთ პირობებში სახელმწიფოს შეძლება ექნება დაეხმაროს ისეთ სასარგებლო წარმოებებს, რომელნიც სულაც არ იძლევიან მოგებას. პირიქით, დასჭირდებათ კიდეც ფინანსიური დახმარება»-ო.

ამხ. კ. კ-ს აფიქრებს ფულის საკითხიც და კითხულობს: «სად უნდა იშოვოს საწარმოვო თანხა ახალგაზდა ქალაქმა, ერობამ»-ო და უპასუხებს: «ერთად ერთი წყარო იქნება სახელმწიფო ხაზინა»-ო და რადგან ამდენი ფული სახელმწიფოს არ ექნება «ჩვენ შევიქნებით მოწამე განუხორციელებელი გეგმების, გაჩერებული ქარხნების და ფაბრიკების, უმუშევრობის»-ო.

მარა ერთი ვიკითხოთ—სად უნდა იშოვონ ეს საწარმოვო თანხა კერძო პირებმა? ამის შესახებ ამხ. კ. კ. არას გვეუბნება. ის მხოლოდ ამბობს რომ «საბჭოთა ულლიდან გამოსულ საზოგადოებას ნაწილობრივ მაინც გამოყვება მისწრაფება კერძო საკუთრების და კაპიტალის დაგროვების»-ო. თუ მისწრაფება კია საკმარისი, რატომ არ შეიძლება ეს მისწრაფებანი ისეთი ძლიერი ექნეთ ერობებს რომ შესძლონ საჭირო თანხის შოვნა. კომუნისტებმა დიდი ხანია მოჰკლეს ჩვენში კერძო კაპიტალი. არ არის და კიდევ დიდხანს არ იქნება იმდენი კერძო კაპიტალი ქვეყნის ეკონომიური განვითარებისათვის რომ საკმარისი იქნეს. ის კაპიტალი კი რომელიც დაგროვდება თავისუფლების შემდეგ, უეჭველია დაიბანდება უპირველესათ ისეთ წარმოებაში, სადაც მეტი გარანტია და მეტი მოსაგები იქნება. ასეთ პირობებში ფაქტიურად მოხდება შემდეგი: ან უნდა დაუცადოთ სანამ კერძო კაპიტალი იმდენათ გაძლიერდება რომ შესძლებს ყველა წარმოებათა გაძღოლას, ან ისევ ჩვენ დავეხმაროთ მათ საჭირო თანხის შოვნაში, ანდა ნება ექნეთ შემოიყვანონ უცხო კაპიტალი. არც ერთი ეს, ჩვენი აზრით, ხელს არ შეუწყობდა ქვეყნის ისეთ ეკონომიურ განვითარებას, რომელსაც გულისხმობს ამხ. კ. კ. და ჩვენ მართლაც «შევიქნებით მოწამე გაჩერებული ქარხნების» და სხ.

ამხ. კ. კ. ფიქრობს რომ ან «ყველა ამ დაწესებულებებმა (სახელმწ. სათემო, საერობო და კოოპერატიული) გამოიცვალონ თავის ბუნება და კერძო კაპიტალისტურ ნიადაგზე უნდა შედგენ და მაშინ ჩვენ გვექნება საქმე წმინდა წყლის სახელმწიფო კაპიტალიზმთან, რომლის საუცხოვო მაგალითი საბჭოთა კავშირმა მოგვცა, ანდა ისინი ერთ წერტილზე გაიყინებიან» და სხ.

თუ რომ მართლა სახელმწიფოს და ერობების მიერ წარმოებათა წამოწყება და გაძღოლა იქნება ის «წმინდა წყლის სახელმწიფო კაპიტალიზმი, რომლის საუცხოვო მაგალითი საბჭოთა კავშირმა მოგვცა», რა თქმა უნდა, ეს დიდათ საზიანო იქნება და დიდათ დააბრკოლებს ქვეყნის საწარმო ძალთა განვითარებას.

მარა, ვფიქრობთ, ეს ანალოგია არაა სწორი. ავსტრიაში და გერმანიაში მოწყობილია და მოქმედებენ მთელი რიგი საზოგადოებრივ-სამეურნეო წარმოებანი, რომლებიც უმთავრესად სახელმწიფოს ხელშია და რომლებიც ომის დროს სამხედრო მასალებს ამზადებდენ. ომის შემდეგ კი მშვიდობიან საქონლის დამზადებაზე გადავიდენ და ისე ნაყოფიერად მუშაობენ, რომ არც ერთხელ არ მოუციათ «ის საუცხოვო მაგალითი, რომელიც მოგვცა საბჭოთა კავშირმა».

რა არის სახელმწიფო კაპიტალიზმი? პირველათ მარქსისტები ამ ტერმინით გულისხმობდენ მხოლოდ სახელმწიფო სამეურნეო წარმოებებს. ასეთ წარმოებათა წინააღმდეგ არც ერთ სოციალისტს არაფერი ქონია. პირიქით, მთელ რიგ ქვეყნებში თვით სოციალისტები ითხოვდენ და ითხოვენ ამა თუ იმ დარგის სახელმწიფოს ხელში გადასვლას. დავა დაიწყო მხოლოდ იმის შესახებ, რომ რეფორმისტებმა ამ გზით შესაძლებლათ დაინახეს კაპიტალიზმის დაძლევა. მარქსისტები კი უპასუხებდენ—ეს არის არა სოციალიზმი, არამედ სახელმწიფო კაპიტალიზმიო. შემდეგში ეს შემეცნება გაფართოვდა და უწოდეს სახელმწიფოს მეურნეობაში ჩარევის ყოველგვარ ფორმას. ფრანგები სწორეთ ამ აზრით ხმარობენ სიტყვა «ეტატიზმს». ეს კი სრულიად არ გავს იმ «სახელმწიფო კაპიტალიზმს, რომლის საუცხოვო მაგალითი საბჭოთა კავშირმა მოგვცა». ამიტომ თუ პროექტში ნა-

---

*) ბერნშტ. სოციალიზმის სადაო საკითხები. გვ. 74.

**) კაუცკი. «პროლ. რევოლიუცია და მისი პროგრამა». გვ. 87.

*) ო. ბაუერი. გზა სოციალიზმისაკენ. გვ. 9.

**) კაუცკი. პრ. რევ. და მისი პროგრამა. გვ. 313.

ტიულ ქვეყნებში. პროლეტარიატის იზოლიაცია, ბურჟუაზიის ბანაკის გამრავლება—ფაქტია.

რით აიხსნება ეს გარემოება?

პირველი და მთავარი მიზეზია დაპირდაპირება დაქირავებული შრომის ერთი ნაწილის და უმუშიერთა ინტერესების საშუალო კლასების ინტერესებთან. უმუშიერის დახმარება, მოხელეთა პრივილეგიების დაცვა. დიდი ბიუჯეტის შენახვა წარმოებს გადამხდელთა ანგარიშზე, პირველყოვლისა საშუალო კლასების. და რადგანაც სოციალისტური პარტიები გახდენ ამ მიმდინარეობის მატარებელი, ამით ისინი დაუპირდაპირდენ წვრილ მესაკუთრეთ, მთელ წვრილ ბურჟუაზიას.

გასულ საუკუნეთა ყველა რევოლიუცია იყო რევოლიუცია ორი კლასის: მუშების და საშუალო კლასების. ამათი ბლოკი აშკარა გახდა 1848 წლის რევოლიუციებში: საფრანგეთში «შეერთებული ბურჟუაზიის პირდაპირ შედგა კოალიცია წვრილი ბურჟუების და მუშების, რასაც მაშინ დაერქვა სოციალ-დემოკრატია», წსერს მარქსი; ასეთივე ბლოკი იყო გერმანიაში. მათი ასეთი დაახლოვება მოხდა გადასახადების ნიადაგზე. წვრილი ბურჟუაზია შეწუხებული გადასახადების მომატებით აუჯანყდა ხელისუფლებას. ამიტომ პარიზის რევოლიუციური მთავრობა 7 მარტს აცხადებს სახელმწიფო ხარჯების შემოკლებას და გადასახადების შესაფერათ დაკლებას. ეს დაპირება მან ვერ გაატარა და ბოლოს იძულებული გახდა 16 მარტის საგადასახადო დეკრეტი უკან წაეღო. საზოგადოთ მარქსის გამოკვლევით ყველა ამ რევოლიუციაში და კონტრ-რევოლიუციაში გადასახადების საკითხი თამაშობდა მთავარ როლს *). და განა თვით დიდი რევოლიუცია ამავე საკითხმა არ გამოიწვია? წოდებათა ყრილობა მოწოდებული იყო სწორეთ გადასახადების მოსაწესრიგებლათ.

საშუალო კლასების მთავარი საზრუნავი იყო მუდამ და არის დღეს გადასახადების შემცირება, მაშასადამე იაფი მართველობა, მოხელეების დამორჩილება, მათი რიცხვის შემოკლება, სახელმწიფო აპარატისათვის ნაკლები ხარჯის გაღება. აი სწორეთ ამიტომ ყველა ძველ სოციალისტურ პროგრამებში აღნიშნული იყო არა-პირდაპირი გადასახადების მოსპობა, რაიცა ახალ პროგრამებში სავსებით გაქრა. ე. ი. თანამედროვე სოციალისტური პოლიტიკა გადაუდგა ძველ რევოლიუციურ პოლიტიკას, ძველ პროგრამას და მოხელეთა და უმუშიერთა გავლენით მიიმართა საშუალო კლასების წინააღმდეგ. ამის ნათელსაყოფათ საკმარისია მოვიგონოთ საფრანგეთის სოც. პარ. პროგრამათა ცვლილება. 1892 წ. პროგრამაში შეტანილ იქნა ორი მუხლი: მე 4, თემის მიწების გადაცემა უმიწაწყლო გლეხებისათვის სასარგებლოთ იმ პირობით რომ მიწა თვითონ დაამუშაონ და საქველმოქმედო კასისათვის მცირე ნაწილი გაიღონ; მე-10, გაუქმება ყველა არა-პირდაპირი გადასახადის, გაუქმება სამიწათმფლობელო გადასახადის იმათზე, ვინც თვითონ ამუშავებს მიწას; 1919 წლის პროგრამაში პირველი მოთხოვნილება გაქრა, მეორე დარჩა, ხოლო 1930 წ. პროგრამაში ორივე გაქრა; სამაგიეროთ შეტანილია გაუქმება არა-პირდაპირი გადასახადების პირველ საჭიროების სურსათზე; 1932 წლის საარჩევნო პლატფორმაში აღარც ეს მოთხოვნილებაა და ყველა მათ ალაგას წამოყენებულია «ფასების რეგულიარიზაცია», ეს წვრილბურჟუაზიული უტოპია. ასეთი საპროგრამო მეტარფოზა აიხსნება ძალთა ახალი გადაჯგუფებით დაქირავებულთა შორის. შემქნელთა გავლენის დასუსტებით და არაშემქნელთა, ჯამაგირიანი ხალხის გავლენის გაზრდით და ბოლოს გაბატონებით. დიდი ბიუჯეტი, დიდი გადასახადები გადაიქცა ამ ფენების მოთხოვნილებათ.

როგორც ხედავთ, გადასახადების საკითხი არის საბოლაოთ საკითხი საზოგადოების და სახელმწიფოს ურთიერთობის შესახებ, ეს მუდმივი მძიმე პრობლემა ყველა დროის, კულტურის და მდგომარეობისა. მარქსის აზრით, საზოგადოება თავისუფალია იმდენათ, რამდენათ ის ნაკლებათ დამორჩილებულია სახელმწიფოს მიერ *), ხოლო დღევანდელი «მარქსისტებისათვის» კი პირიქით, საზოგადოების დამორჩილება სახელმწიფოს მიერ მთავარი მოთხოვნილებაა, დამორჩილება ნივთიერი ბიუჯეტით და მონოპოლიებით დემოკრატიაში; ხოლო ფაშისტები ამას აგრძელებენ და საზოგადოებას იმორჩილებენ როგორც ნივთიერათ, ისე სულიერათ და პოლიციურათ. მაგრამ რაკი მთელი ამ მიმდინარეობის ბაზა ნივთიერი ხასიათისაა, ცხადია მისი დემოკრატიული ფრთა უნდა მივიდეს თავის ლოღიკურ დასკვნამდე, ამა თუ იმ ფორმის ტირანიამდე. პარაზიტული ნაწილებისათვის ეს დასკვნა ყურადღების ღირსი არ არის, მისთვის ყველა ხელისუფლება მისაღებია ვინც კი ჯამაგირებს და სუბსიდიებს არ მოაკლებს.

აშკარაა, ბრძოლა ბიუჯეტის შემცირების, გადასახადების შემოკლებისათვის არის ბრძოლა თავისუფლებისათვის, და პირიქით, ბრძოლა დიდი ბიუჯეტის, დიდი ჯამაგირებისათვის არის ბრძოლა თავისუფლების წინააღმდეგ. ეს არის არსებითად ნაპოლეონური დოქტრინა, ბატონობის ერთი საშუალებათაგანი, სამღვდელოების და ჯარის გვერდით. «უშველებელი ბიუროკრატია, კარგათ ჩაცმული და კარგათ მჭამელი არის იდეა ნაპოლეონური, რაიცა ყველაზე უფრო ულიმოდა მეორე ბონაპარტს. და როგორ შეიძლებოდა სხვანაირათ? განა ის არ იყო იძულებული შეექნა საზოგადოების რეალური კლასების გვერდით ხელოვნური კასტა, რომ მისი რეჟიმის დაცვა გამხდარიყო ყოველდღიური ჭამის საკითხათ. ამიტომ მისი პირველი ფინანსიური ოპერაცია შეიცავდა მოხელეთა ჯამაგირების აწევას ძველ დონემდე და ახალი სინეკურების შექმნას» *) სწერს მარქსი.

დღეს კი როგორ შეტრიალდა ყველა ეს! ნაპოლეონური იდეია გადაიქცა სოციალისტურ იდეიათ, ხოლო მარქსისტული იდეია ანტისოციალისტურ დროშათ! მოხელეთა კარტელი უკარნახებს პოლიტიკას სოციალისტურ პარტიას! მარქსიზმის და თანამედროვე სოციალიზმის გაყრა არც ერთ სფეროში არ არის ისეთი მკაცრი და თვალსაჩინო, როგორც სწორეთ გადასახადების საკითხში. და ეს არა მარტო პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ აგრეთვე ეკონომიურის. ყველა გადასახადს საბოლოოთ იხდის მწარმოებელი კლასები, ახალი ღირებულების შემქნელნი, მუშა და წვრილი მესაკუთრენი. ბრძოლა გადასახადების ირგვლივ ნიშნავს ბრძოლას ამ კლასებისა თავისივე ნაშრომის განაწილების ირგვლივ, რამდენი დარჩეს მას და რამდენი ყველა დანარჩენ მუქთა მჭამელთ, მემამულეთ, კაპიტალისტთ და სახელმწიფოს.

ამის შემდეგ რა გასაკვირალია, საშუალო კლასები აჯანყებული იყოს და «ანტიმარქსისტულ» ბლოკში გადაჯგუფებული. ის წვრილი შეძლების ხალხი, რომელიც ყველა რევოლიუციაში მუშათა გვერდზე იდგა, ახლა დადგა მუშის წინააღმდეგ ყველა მის მტერთა გვერდზე. ამ გარემოებამ შეარყია თვით მუშათა კლასი. ის თავის ზურგის ჯარის გაქცევით დაფრთხალი, მოდუნებული, ნებისყოფას მოკლებული და დაბნეულია. ის მოიცვა წვრიმალ რეფორმიზმმა, მას დაეკარგა ფართე სოციალური ჰორიზონტი.

საკითხი საშუალო კლასებთან დამოკიდებულებისა არის ძირითადი საკითხი პროლეტარული ბრძოლისა. ამათი ბლოკი დემოკრატიის ნიადაგზე გახდა თავდები დემოკრატიული წყობილების დამყარებისა. ამათი ბლოკი სოციალურ ნიადაგზე არის ერთათ ერთი თავდები სოციალისტური გარდაქმნისა. ყოველგან სადაც კი საშუალო კლასები გადაუდგა დემოკრატიას, იქ დაინგრა ეს წყობილება და თან მოიყოლა პროლეტარიატიც. პარტია რომელიც ფიქრობს გამარჯვებას ამ კლასების დაუხმარებლათ და მათ წინააღმდეგაც, ფიქრობს ორში ერთს: ან ძალაუფლების დაპატრონებას შეთქმულებით, რაიმე შემთხვევით და მის ამუშავებას დიქტატორული მეთოდით, მსგავსათ ბოლშევიკებისა, ან და სექტარიზმის ფარგალში ჩაკეტვას, წმინდა ბერათ დარჩენას და «ღმერთო, ღმერთოს» ძახილით სასუფეველში შესვლას. ფართე სახალხო მოძრაობა თუ ვიწრო ჯგუფური უძლურება—აი რა დილემაა გადასაწყვეტი და შესაფერი გზები გამოსანახავი. პირველი გულისხმობს მწარმოებელი კლასების დარაზმვას, მათი საერთო მისწრაფების და ინტერესების გაერთიანებას და ყველა დანარჩენი საზოგადოებისათვის დაპირდაპირებას. მხოლოდ ასეთი დაჯგუფება მოგვცემს იმ გარდამავალ საფეხურს სოციალიზმისაკენ, რასაც ასე გაფაციცებით ეძებენ ეს ერთი ხანია და პოულობენ იქ სადაც მხოლოდ აღვირ წახსნილი პლუტოკრატია და წვრილბურჟუაზიული უტოპიაა. საშუალო კლასის ბლოკი ბურჟუაზიასან იძლევა, მართალია გარდამავალ საფეხურს, მაგრამ არა სოციალიზმისაკენ, არამედ ტირანიისაკენ, ის ფაშიზმის წინა კარებია.

საშუალო კლასებს და პროლეტარიატს შორის არის შემდეგი საერთო ინტერესები:

პირველათ, ორივე ერთნაირათ, თუმცა სხვა და სხვა გზით, იყვლიფებიან ბურჟუაზიის მიერ; ანტი-კაპიტალიზმი მათი საერთო ნიადაგია. საერთო საბოლაო დროშა ამით ბოძებულია.

მეორეთ, მუშის ქირის და, საერთოთ, სასყიდელი ძალის გადიდება, რაიცა ადიდებს გლეხის, ხელოსნის და წვრილი ვაჭრების საქონლის გასაღებას; მაშასადამე საერთო რეფორმატორული მუშაობა ბოძებულია.

მესამეთ, სიმდიდრის შექმნა, დამუშავებული ღირებულების რაც შეიძლება მეტი ნაწილის მათთვის დატოვება. მაშასადამე ნაკლები მუქთათ მჭამელი, ნაკლები მოხელეობა, იაფი სახელმწიფო აპარატი, შემქნელი კლასების უაღრესობა მომვლელ და გამანაწილებელ ფენებზე.

მეოთხეთ, ვინაიდან პროლეტარიატი და საშუალო კლასები ერის დიდი უმრავლესობაა, მათი მართველობა, დემოკრატია საერთო პოლიტიკური ნიადაგია.

ერთი სიტყვით, სოციალიზმი, რეფორმა, დემოკრატია—აი მათი შემაერთებელი გზა და ხიდი.

ამ ხიდზე გაჩხირულია «ხელოვნური კასტა», ბიუროკრატია რომლის ინტერესი პირდაპირ ეწინააღმდეგება საშუალო კლასების, მთელი ხალხის ინტერესებს და ანგრევს ამ შემაერთებელ დვრიტეს. მისი ადგილი აქ არ არის. მას უნდა ეჩვენოს თავისი ადგილი ან გაბატონებულთა გვერდით, რომელთაც ის მუდამ ემსახურება ან და მწარმოებელი კლასების წინაშე თავისი კასტიური დროშის დაწევა.

საშუალო კლასების არსებობის საკითხია მათი საკუთრების და ინდივიდუალური შრომის მფარველობა და დამაგრება. ამ სფეროში მარქსიზმს აქვს თავიდანვე აღებული ერთი ხაზი და მისთვის არასოდეს არ გადაუხვევია. ის ებრძვის არა საკუთრებას საზოგადოთ, არამედ კაპიტალისტურ საკუთრებას, სხვისი შრომის გაყვლეფის სოციალურ საშუალებას. მაშასადამე წვრილი საკუთრება და მასზე აგებული ინდივიდუალური შრომის ურთიერთობა რჩება ხელ-

---

*) მე-18 ბრიუმერი, რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუცია.

*) იხ. მისი კრიტიკა გოტის პროგრამისა.

*) მე-18 ბრუმერი.

გულისხმევ ეკონომიურ პოლიტიკას კი შეიძლება უწოდოთ «სახელმწიფო კაპიტალიზმი», ის იქნება უფრო მალე გერმანია-ავსტრიის ტიპის და თუ ამ ქვეყნებში არ შეუფერხებია მას საწარმოვო ძალთა განვითარება, რატომ მაინცა და მაინც ჩვენში უნდა ითამაშოს ასეთი უკუღმართი როლი. აქვე უნდა მოვაგონო ამხ. კ. კ ს, რომ როცა ის მოითხოვს კერძო კაპიტალისტურ წარმოებათა მიმართ ისეთი კანონების გამოცემას, რომელნიც «უფლებას მიანიჭებენ ხელისუფლებას კონტროლისას, შესაფერ წესების დამყარებისას, თავისუფალი მოქმედების განსაზღვრულ ჩარჩოებში ჩაყენებისას»—ეს იგივე ეტატიზმია და ეტატიზმი ცალმხრივი, რადგან ის გულისხმობს მხოლოდ კერძო მწარმოებელს. ამ მხრით პროექტი ბევრათ უფრო ლიბერალურია, რადგან «ყველა კერძო წარმოება იმყოფება საერთო კანონების მფარველობაში» (37). საერთო, ე. ი. ამავე კანონებს ემორჩილებიან სახელმწიფო, სათემო და საეროობო წარმოებანიც.

ამხ. ჰავჰანიძე ფიქრობს—იქნებ უფრო მიზანშეწონილი ყოფილიყო, რომ პროგრამის შედგენა გადაგვედო ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებამდე და დავკმაყოფილებულიყავით, მსგავსათ რუსეთის სოც.-დემოკრატიისა, პლათფორმის შედგენითო. მარა რუსების პლათფორმაც ხომ იმავე საკითხებს ეხება, რომელსაც ჩვენი პროექტი. მართალია სწყვეტს მათ თავისებურათ, მარა ეს უკვე სხვა საკითხია. ასე რომ, ამ მხრით განსხვავება იმაშია რომ იმას ქვია პლათფორმა და ჩვენსას პროგრამა. წინათო—განაგრძობს ის—ჩვენი პარ. პროგრამაც ორი ნაწილისაგან შესდგებოდა, პირველი ნაწილი იყო პროგრამა მინიმუმი, მეორე ნაწილი შეიცავდა საბოლაო მიზანს—სახ. სოც. გარდაქმნასო. სრულიად სწორია. მარა არსებითად ახლაც იგივეა. ამ პროექტში ჩამოთვლილი მუხლები—ეს არის პროგრამა მინიმუმი, რადგან მისი მოქმედება სწარმოებს კაპიტალისტურ ურთიერთობაში. საბოლოვო მიზნის შესახებ ნათქვამია ის რაც იყო წინათ—დღევანდელი ურთიერთობა უნდა მოისპოს და დამყარდეს სოციალისტური ურთიერთობაო, ხოლო რა ფორმებში აისახება ეს მომავალი ურთიერთობა ეს არც ძველ პროგრამაში იყო და არც ამაშია.

ორივე ამხანაგმა დიდი ყურადღება მიაქცია პროექტის იმ ადგილს, სადაც სწერია: «დასავლეთში საკითხი დგას ბურჟუაზიული წყობილების სოციალისტური წყობილებით გარდაქმნის, საქართველოში კი ბოლშევიკური, ე. ი. არაბურჟუაზიული, არამედ სახელმწიფო კაპიტალისტურ წყობილების სოციალისტურათ დაბოლოვების». მათი აზრით აქ «დასავლეთსა და საქართველოს შორის თანასწორობის ნიშანია დასმული» და ძალიან ბევრ დროს ანდომებენ იმის მტკიცებას რომ ეს ასე არაა და რომ მათ შორის დიდი განსხვავებაა... რომ მართლაც დიდი განსხვავებაა ამას აღნიშნავს თვით პროექტი. ის ამბობს: «საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა დიდათ განირჩევა ევროპის მდგომარეობისაგან»-ო. ესეც რომ არ იყოს, თვით სადაო დებულება ამბობს: დასავლეთშია ბურჟუაზიული წყობილება, საქართველოში კი არა ბურჟუაზიული—სახელმწიფო კაპიტალისტურიო. ცოტა ზევით კიდევ: ბურჟ. კაპიტალისტური ურთიერთობის დასკვნაა სოციალისტური ურთიერთობა, ბოლშევიკური წყობილების დასკვნა სულ სხვააო; ამ სხვაობის გარკვევას ანდომებს მთელ სვეტს და ასკვნის—ეს არაა სოციალიზმიო.

ასე რომ პროექტი არამც თუ არ უსვამს «თანასწორობის ნიშანს», პირიქით, თვითონ აღნიშნავს ამ განსხვავებას, ასაბუთებს კიდეც. შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს იმან რომ ნათქვამია: «არსებული სახელმწიფო კაპიტალისტური წყობილება უნდა დაბოლოვდეს სოციალისტურით»-ო. ესაა არა დასავლეთ-საქართველოს ეკონომიური განვითარების ერთ და იმავე დონეს აღიარება, არამედ პროგრამის საბოლოვო მიზნის აღნიშვნა. და ჩვენი ღრმა რწმენით ეს პროექტი სავსებით ემსახურება ამ საბოლოვო მიზნის დაჩქარებას და მის განხორციელებას...

გრ. ურატაძე.

რედაქციისაგან.

ამ ნომერში უნდა დაბეჭდილიყო რ. არსენიძის, მ. რუსიას და სხვების საპასუხო წერილი, მარა რაკი ის დაიბეჭდა ცალკე წიგნაკში—აღარ იბეჭდება.

უადგილობის გამო გადაიდო შემდეგი ნომრისთვის ამხ. კ. კ.-ს წერილის გაგრძელება პარტიული პროგრამის პროექტის შესახებ.

ჩემი ჩვენება

«ბრძოლის ხმისადმი» მომართულ წერილში ავტორები სხვათა შორის მეც მიმოწმებენ. მზათ ვარ მათი სურვილი დავაკმაყოფილო; მხოლოთ სანამ ამ ჩემთვის არა სასიამოვნო მოთხოვნას შევასრულებდე, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ორიოდე სიტყვა თვით სადავო საგანზე ვსთქვა.

ვეკითხები ჩემ თავს: ქონდათ თუ არა თავიდანვე ჩვენს ამხანაგებს, ეგრეთ წოდებულ ცენტრიდან, სავსებით წარმოდგენილი ბროშიურის გამოცემის მძიმე შედეგები? გრძნობდენ თუ არა ისინი, რომ ეს ფაქტი თავისთავად რასკოლს გზას უხსნიდა და პარტიას განსაცდელში აგდებდა? მე იმდენათ არ მაინტერესებს საკითხის ფორმალური მხარე; თუმცა ესეც ფრიად მნიშვნელოვანია და ამაზე საკმაოთ იყო ნათქვამი ჩვენ გაზეთში. მე საკითხს მინდა შევეხო არსებითათ.

ჩვენმა პარტიულმა დავამ საზღვარ გარეთ ბევრი მწვავე მომენტი გაიარა; ყველას გვახსოვს კონფერენციის დაშლის დღე, როცა ჰაერში რასკოლის სუნი ტრიალებდა; მაგრამ მაშინ საღმა გონებამ სძლია გრძნობათა ღელვას და საბედისწერო სიტყვა არ თქმულა.

ეხლა კი მოულოდნელათ, დაჩქარებით, როცა ჯგუფთა შორის მთლათ ხიდი არ იყო ჩატეხილი და გამთლიანების იმედი კიდევ ბჟუტავდა, თითქოს განგებ, ყველა გზების მოსაჭრელათ, ბროშიურის გამოცემამ მდგომარეობა სავსებით შესცვალა და ჩვენი შინაპარტიული ურთიერთობა საჯარო ბრძოლის მოედანზე გამოაგორა.

რითი უნდათ გაამართლონ ეს ფაქტი? განა არ იყო არავითარი საშვალება ამის ასაცდენათ? აი აქ არის სიმძიმის ცენტრი და ამას უნდა გაეცეს პასუხი.

ზოგადი მოსაზრებებით, «ყველა ქვეყნის სოც. პარტიების» მაგალითებით ამ დიდ შეცდომის გამართლება შეუძლებელია.

წერილის ავტორებმა კარგათ იციან, რომ ჩვენ და ცენტრის დიდი უმრავლესობა ჩვენთან ერთათ თავიდანვე მემორანდუმის გამოქვეყნების წინაალმდეგი ვიყავით. ამ მხრივ, ისე როგორც სხვა მხრივათაც, ჩვენი პოზიცია არ შეცვლილა. ჩვენთვის დღესაც ძალაშია ყველა ის მოსაზრებანი, რომელნიც გვიკარნახებდა ასეთი სახიფათო მოქმედებისაგან თავის შეკავებას. მე ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ არასოდეს და არავითარ შემთხვევაში მემორანდუმის გამოქვეყნების მომხრე არ ვიქნებოდი (თუმცა ჩემ ამხანაგებთა შორის ასეთი აზრიც იყო): მე ძლიერ კარგათ ვიცი, რომ ბრძოლას თავის კანონები აქვს; რომ ერთხელ დარღვეული პარტიული მთლიანობა გზას უხსნის კონფლიქტების სტიქიას, რომელსაც არც ფორმა აქვს გარკვეული და არც წინასწარ გავლებული საზღვარი. მაგრამ ეს უკვე აშკარა ბრძოლის ხანაა; ასეთ დროს ცენტრისათვის ადგილი არ არის, ვინაიდან ბრძოლა ორ მოპირდაპირე ბანაკთა შორის წარმოებს. მხოლოთ სანამ ცენტრი ცენტრობს და იგი ამ ორ მოწინაალმდეგეთა შორის სწორასწონობას იცავს, მან არ უნდა დაუშვას ისეთი აქტი, რომელიც რღვევის სტიქიას კარს უღებს და ორგანიზმის მთლიანობას არღვევს.

მერე შეასრულა ცენტრში დარჩენილმა ამხანაგებმა ეს მოვალეობა? რასაკვირველია არა. ყველამ იცის, რომ ამ ბოლო დროს გაკეთდა სერიოზული ცდა პარტიული მთლიანობის აღსადგენათ. შეთანხმების პირობები, როგორც ეს «ბრძოლის ხმის» ფურცლებზე იყო აღნიშნული, იძლევა ყველა გარანტიებს ბიუროში კოლეგიალურ მუშაობის ახალ წესებზე დასამყარებლათ. ცენტრის პირდაპირი დანიშნულება სწორეთ იმაში იყო, რომ ეს შემთხვევა ხელიდან არ გაეშვა და პარტიულ რიგების მთლიანობა დაშლისაგან ეხსნა. სამწუხაროთ ცენტრის ზოგიერთ ამხანაგებმა მდგომარეობა სწორეთ ვერ დააფასეს, თავიანთ მოვალეობას აცდნენ, პარტიაში რასკოლის გახსნას ხელი შეუწყვეს, საკუთარი სახე და პოზიცია დაჰკარგეს და სხვის მაჩანჩალებათ გამოდიან; დღეს ცენტრის მხოლოდ-ღა ძველი «ვივესკა» დარჩა...

გადავდივარ იმ საგანზე, რომლის გამო წერილში ვარ დასახელებული. უეჭველია, რომ ავტორთ ამ დასახელებით, ადვაკატები რომ იტყვიან, უხერხულ მდგომარეობაში უნდოდათ ჩავეყენებიეთ. ფუჭი ცდაა. ჩვენ ადვაკატებმა კარგათ ვიცით, რომ ასეთი მანიპულიაცია სჭრის მხოლოთ არა კეთილ სინიდისიერ მოწმეთა მიმართ. ასეთი რამ ჩემ ბუნებას არ ეგუება. ნათქვამის გადათქმა, სხვებისათვის დამილოცნია. ნოდიას შესახებ, რაც ვიცოდი 1924 წ. პარიზის ორგანიზაციას ცნობილ კამათის დროს მოვახსენე. ვიმეორებ, რომ ჩემის ცნობით განსვენებული ნოდია მთავრობასთან იყო დამკომიდან წარმოგზავნილი და მეც ნ. რამიშვილთან ერთად მას შევხვდი მთავრობის დავალებით. რომ ჩემი ვერსია სავსებით არ შეეფერებოდა მემორანდუმისას ეს იქიდანაც სჩანს, რომ მისი წაკითხვის დროს ირ. წერეთელმა წინადადება მომცა ეს ადგილი სულ ამოგვეღო და თუ ის დატოვებული დარჩა, ეს მხოლოთ იმიტომ რომ ისეთ კოლექტიურ ნაწარმოებში, როგორიც მემორანდუმი გახლდათ, მე სრულიათ ბუნებრივათ მიმაჩნდა ზოგიერთ კომპრომისებზე წასვლა.

სადირექტივო წერილების შესახებ პარტიულ წრეებში ყველამ იცის, რომ ამ წერილების შინაარს მე არ ვიზიარებდი, მაგრამ ამ გარემოებას სრულებით ხელი არ შეუშლია ჩემთვის ეკზეკუტივის სხდომაზე ლონდონში ბიუროს სახელით შევბრძოლებოდი შეძლებისადაგვარათ იმ ელემენტებს ინტერნაციონალში, რომელთაც რუს მენშევიკების წაქეზებით, ეს წერილები ხელზე დაიხვიეს და ჩვენს პარტიას მიწას უთხრიდენ.

დასასრულ უნდა ვსთქვა, რომ მე კარგათ ვერ გამიგია, თუ რათ დასჭირდათ წერილის ავტორთ ჩემის სახელის ხსენება. მგონი, იმათაც აქვთ გაგებული დაყოფის სტრატეგიის სასარგებლო მხარეები. თუ ეს ასეა, ჩემი პასუხი შემდეგია: ბევრი რამ მყოფდა ნ. ჟორდანიასაგან პარტიულ დავის ხანაში, შესაძლოა. ბევრ რამეში ეხლაც არ ვიყოთ ერთი აზრის, მაგრამ დღეს დღეობით ჩემის შეგნებით ჩვენს უწმინდესს მოვალეობას ჩვენი ხალხის წინაშე შეადგენს წინ წამოვსჭრათ ის, რაც გვაერთებს და ამ ნიადაგზე გაერთიანებული საერთო მტრის წინაალმდეგ სათანადო ბრძოლა ვაწარმოვოთ.

მ. მაშუქარი.

ერთხელ კიდევ

«სიმართლე შინაპარტიული დავის შესახებ»-ში (რვეული მეორე), დაბეჭდილი «წერილი «ბრძ. ხმის» რედაქციას» მაიძულებს ერთხელ კიდევ ვსთქვა რამდენიმე სიტყვა საჯაროთ ჩვენ შინაპარტიულ ურთიერთობაზე.

პირველ წერილში ვსწერდით რომ არავის არ ქონდა არც ფორმალური და არც მორალური უფლება გამოექვეყნებია დაუკითხავად ის დოკუმენტი, რომელზედაც მეც მიწერია ხელი. ახლა გამოქვეყნების ავტორები თავს იმართლებენ და აცხადებენ რომ გამოქვეყნება მოხდა თანახმად იმ წესისა, რომელიც «ცენტრისა და ოპოზიციის კრებაზე ერთხმად იქნა მიღებული»-ო. «აღნიშნულ კრებაზე—სწერენ ისინი—გრ. ურატაძემ შემოიტანა წინადადება, რომ მემორანდუმის გამოქვეყნება შეიძლება მხოლოდ ხელისმომწერთა უმრავლესობის თანხმობით და ეს ერთად ერთი პირობა კრებისაგან ერთხმად მიღებული ჩვენ შევასრულეთ. გამოქვეყნების წინ ყველას სათანადო შეკითხვა გაუგზავნეთ»-ო.

რა არის აქ მართალი? მართალია ის რომ მე მართლაც შევიტანე წინადადება გამოქვეყნების წესის შესახებ. მართალია ისიც რომ ეს წინადადება კრებამ ერთხმად მიიღო. მარა არაა მართალი ვითომ ჩემი წინადადება და აქ მოყვანილი ერთი და იგივე იყოს. ჩემი წინადადება იყო: მემორანდუმის გამოქვეყნება შეიძლება მხოლოდ ხელის მომწერთა საერთო დადგენილებით. საერთო დადგენილების მიღება კი შეუძლია საერთო კრებას, მაშასადამე უნდა შემდგარიყო ხელის მომწერთა საერთო კრება. რა თქმა უნდა ამ კრებაზე შეიძლება ყოფილიყო უმცირესობა-უმრავლესობა, მარა მისი დადგენილება იქნებოდა კანონიერი. ეს კი არ მოხდა, ამიტომ ასეთი კრების გარეშე ამ საკითხის გადაწყვეტა სრულიად დაუშვებელია.

ჩვენ შევეკითხეთ ყველასო—აცხადებენ ისინი. მართალია. შემეკითხენ მეც, მარა შემეკითხენ მას შემდეგ რაც დაადგინეს გამოქვეყნება—«ჩვენ დავადგინეთ გამოქვეყნება და თქვენ რას იტყვითო»! მარა ერთი ვიკითხოთ—ვინ არიან ეს «ჩვენ»? ესენია, როგორც წინასიტყვაობაში აცხადებენ:—«იბეჭდება საქარ. ს.-დ. მ. პ. საზღვარგარეთელი ორგანიზაციების ცენტრის და ოპოზიციის ერთხმად მიღებული დადგენილების თანახმად»-ო.

როგორც ვხედავთ, ჩემი წინადადება მიღებული ერთხმად მოითხოვდა ხელის მომწერთა საერთო დადგენილებას, დაიბეჭდა კი «ცენტრისა და ოპოზიციის საერთო დადგენილებით». რატომ? რა უფლებით?

აღსანიშნავია მეორე გარემოებაც: ვინ მისცა მათ დასაბეჭდათ აღნიშნული დოკუმენტი? დოკუმენტი იყო სპეციალურ კომისიის ხელში. ამ კომისიისათვის არც დაბეჭდვა უკითხავთ და არც ნებართვა უთხოვიათ! როცა მე შემეკითხენ, სანამ არსებითად პასუხს გავცემდი—ვაცნობე ეს კომისიის მდივანს ვ. ნოზაძეს და ვსთხოვე ეცნობებია—იცის თუ არა ეს კომისიამ და თუ იცის რა ზომებს იღებს რომ დოკუმენტი, რომელიც ამ კომისიას ჩაბარეთ—სხვებს არ ჩავარდნოდა ხელში. ნაცვლად სათანადო ზომებისა მდივანმა თვითონ ააწყო და თვითონ დაბეჭდა.

გამოქვეყნების ავტორები არც ამით კმაყოფილდებიან და ჩვენს გასაწბილებლათ სწერენ: «სამი პირი (ამათში მეც. გ. უ) სანამ ნ. ჟორდანიას შეუთანხმდებოდენ, ჩვენთან ერთად ერთხმად მიღებულ დოკუმენტში მოსთხოვდენ ბიუროს გამოქვეყნებულ იქნას ის დოკუმენტები, რომელიც ჩვენს დავას შეეხება, უპირველეს ყოვლისა ის წერილი საქარ. ს.-დემ. მ. პარტიის ცეკასადმი (ე. ი. მემორანდუმი) და სხ.» და ნაჩვენებია ამის დასამტკიცებლათ «ბროშურის» 26 გვ.

სწორეთ ამ გვერდზეა დაბეჭდილი ის წერილი, საიდანაც ამოღებულია ეს ამონაწერი. მარა შეცდომით თუ შეგნებულათ ავტორებმა ამ ამონაწერს მოსწყვიტეს თავში სიტყვა «თუ» და ბოლოში სიტყვა «მაშინ» და ამ ოპერაციის შემდეგ მიიღეს ის რაც უნდოდათ და რაც სრულიად არ გავს იმას, რაც იმ გვერდზე სწერია და რაც ჩვენ მართლაც მივიღეთ. იქ სწერია: თუ ვინმე სანქციების გზას დაადგება და სხ.» —«მაშინ ერთ რამეს მოვთხოვთ ბიუროს—გამოქვეყნებულ იქნას და სხ.» როგორც ხედავთ—ჩვენ მოვითხოვდით გამოქვეყნებას თუ სანქციები იქნებოდა. სანქციები არ ყოფილა და, მაშასადამე, გამოქვეყნება ამ მხრითაც უმიზნო იყო. ეს უკვე მეორეთ დაარღვიეს საერთო კრების დადგენილება!

წერილის ავტორები «უმრავლესობა-უმცირესობაზედაც» ლაპარაკობენ. მარა რომ ისინი მართლა იზიარებდენ ამ პრინციპს—ბევრი სადაო ჩვენს შორის დიდი ხანია ამოწურული იქნებოდა, რადგან იმყოფებიან რა უმცირესობაში—სავალდებულოთ ჩასთვლიდენ დამორჩილებოდენ უმრავლესობას...

გრ. ურატაძე.

პარტიაში

საქ. ს.-დ. პარტიის საზღვარგარეთელმა ბიურომ, განიხილა რა ჟურნალ «ორნატი»ს № 1, და აღნიშნავს რა, რომ შიგ წამოყენებულია ფაშისტური ლოზუნგი—ბრძოლა მარქსიზმთან, წამოყენებულია ქართველ რეაქციონერთა ლოზუნგი—ბრძოლა საქ. სოც.-დემოკრატიული პარტიის წინაალმდეგ, მის გმირულ წარსულთან, მის თავდადებულ აწმყოსთან—აღიარებს, რომ «ორნატის» ჯგუფმა და მისმა სულის ჩამდგმელებმა, ვ. ნოზაძემ, ედ. პაპავამ და ის. მანწყავამ გასწყვიტეს სოც.-დემოკრატიულ პარტიის იდეოლოგიასთან ყოველივე კავშირი და შეგნებულათ დააყენეს თავისი თავი პარტიის გარეშე. ბიურო აცხადებს მათ პარტიიდან გასულათ.

* * *

ბიურომ საქართველოდან მიიღო ცნობა, რომ ედ. პაპავას, მ. ნიკოლაიშვილს და ის. მანწკავას გადაუტანიათ პარტიის გამთიშველი ჯგუფური მუშაობა საქართველოშიც ახალგაზდა მარქსისტთა წრეში, რის გამო პარტიის ცეკას გამოუტანია შემდეგი დადგენილება:

«ცეკა იღებს რა მხედველობაში, რომ ედ. პაპავა, მ ნიკოლაიშვილი და ის. მანწკავა განაგრძობენ თავიანთ გამხრწნელ მუშაობას საზღვარგარეთელ ორგანიზაციებში და ცდილობენ პარტიის მთლიანობის შესარყევად თავიანთი არაპარტიული უპრინციპო ბრძოლა გადმოიტანონ საქართველოში, ადგენს: ზემოდ დასახელებული პირები გამოირიცხონ პარტიის რიგებიდან და ეს გამოცხადდეს ჩვენს პრესაში».

„ბრძოლის ხმის“ ექსპედიციისაგან

ხელის მომწერთ ვთხოვთ გაზეთის ყველა ანგარიშები პირველ იანვრისათვის გაასწორონ.

«ბრძოლის ხმის» გამოწერა შეიძლება ამხ. პ. სარჯველაძესთან შემდეგი მისამართით:

M-r P. Sardjveladze
9, rue Seguier 9. Paris (6)

შეუხებელი, არ შეადგენს საგანს სოციალიზაციისას; პირიქით ის ღებულობს დახმარებას და მფარველობას სოციალისტური ხელისუფლებისაგან. ამის დაგვარათ არის შედგენილი ყველა სოციალისტური აგრარიული პროგრამმა და ეს ღრმათ სწამდა დაინტერესებულ კლასებს. მაგრამ ეს არის დეკლარაცია, თეორია, რომლის გულწრფელობას ღახვარი ჩაცა თვით მისმა ავტორებმა. პირველი ნაბიჯი ამ მხრით გადადგა საფრანგეთის სოც. პარტიამ რომელმაც მიიღო შემდეგი რეზოლიუცია ტულუზის კონგრესზე:

«უეჭველია, არის ჩვენს და ბოლშევიკებს შორის დოქტრინალური საბოლაო მიზნის უდაო ერთობა; როგორც ჩვენ, ისე იმათ სურთ დღევანდელი რეჟიმის ალაგას შექმნან მეორე რეჟიმი, რომელიც დაუტოვებს მთელ საზოგადოებას თავისი სიმდიდრის მოხმარას» და სხ.

მაგრამ ბოლშევიკების რეჟიმი არსებობს, არსებობს არა დოქტრინაში, არამედ სინამდვილეში; ის ყველასათვის დასანახავი, ცოცხალი მოვლენაა. ის ახორციელებს თავის სოციალურ მიზანს. მისი დამახასიათებელია არა კერძო კაპიტალისტური საკუთრების მოსპობა და სახელმწიფოსათვის გადაცემა, არამედ საზოგადოთ საკუთრების მოსპობა, საშუალო კლასების ექსპროპრიაცია და განადგურება. იყო დრო როცა კაპიტალისტური საკუთრება არ ყოფილა და საზოგადოება და მისი ისტორია მაინც ვითარდებოდა. მაგრამ პრიმიტიული მიწის საერთო მფლობელობის დარღვევის შემდეგ ისტორიამ არ იცის პერიოდი სადაც წვრილი საკუთრება და მასზე აგებული ინდივიდუალური შრომის ურთიერთობა არ არსებულიყოს. რაკი საბჭოთა ხელისუფლებამ აი ეს ისტორიულათ ბოძებული კლასი და მისი საკუთრებაც ძალით მოსპო და ამავე დროს მას ენათესავება სოციალიზმი, რანაირათ უნდა გაიგოს ეს მოუსპობელ საშუალო კლასებმა, რომელთაც ის ასეთი განცხადებით მიმართავს? დასკვნა ერთათ-ერთი შეიძლება: სოციალიზმი მსგავსათ ბოლშევიზმისა მზათ არის გაანადგუროს საშუალო კლასები, როგორც კი ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებს. ყველა წინანდელ აგრარულ პროგრამას და საგლეხო დეკლარაციებს ამით ფასი ეკარგება და ბურჟუაზიის ბანაკი ძლიერდება. ასეთი ბოლშევიზანური რეზოლიუციებით მოხერხებულათ ისარგებლეს სოციალიზმის მტრებმა და ის გადააქციეს საშუალო კლასების საფრთხუნალათ. მუსოლინის, ჰიტლერის, დოლფუსის გაბატონებაში ამ საფრთხუნალამ ითამაშა უდიდესი როლი.

ტულუზის რეზოლიუცია არსებითადაც მოკლებულია ყოველივე სიმართლეს; არავითარი სიმდიდრე ბოლშევიკურ ხელისუფლებას საზოგადოებისათვის არ გადაუცია, არც აპირებს გადაცემას, ყველაფერს და ყველას ბიუროკრატია განაგებს, პოლიცია პატრონობს, საზოგადოება და მისი რაიმე ორგანიზაცია არ არსებობს.

აი ეს ბოლშევიზანობა, ნათესაობა მოსკოვის წყობილებასან, მფარველობა და გამართლება იმ რეჟიმის, რომელმაც დაიმონა 160 მილიონი ხალხი და მას ანადგურებს უკარგავს მორალურ ძალას და პოლიტიკურ გავლენას სოციალიზმის არამარტო საშუალო კლასებში, არამედ აგრეთვე პროლეტარიატშიაც. ამ რევოლიუციური კლასის გაზომიერება, მასი ბრძოლის რეფორმიზმით შემოფარგვლა აიხსნება შიშით სოციალურ-რევოლიუციის წინაშე, ვაი თუ ბოლშევიზმი გამეფდესო. არც ერთი ქვეყნის ხალხს არ სურს ჩავარდეს რუსის ხალხის მდგომარეობაში, რამდენიც უნდა ეჩიჩინონ ბოლშევიზანებმა. ამის შედეგია მხოლოდ პროლეტარიატის იზოლიაცია, მოდუნება და სოც. პარტიების დაქვეითება, ალაგ-ალაგ სავსებით განადგურება. სიტრინმა სამართლიანათ თქვა ბრიტანიის მუშათა კონგრესზე: რამდენ კომუნისტს გააჩენთ, იმდენ ფაშისტს გააჩენთ მის პირდაპიროო, მაგრამ დაავიწყდა ეთქვა: რამდენ ბოლშევიზანს გააჩენთ სოციალისტურ ინტერნაციონალში, იმდენ გავლენას დაკარგავთო...

ამნაირათ, პროლეტარიატის იზოლიაცია, ამოძრავებული და შეკავშირებული საშუალო კლასების გადასვლა ბურჟუაზიის ბანაკისაკენ და მით სოციალიზმის დასუსტება გამოიწვია ორმა გარემოებამ: გამანაწილებელი სოციალიზმის გამარჯვებამ სოციალურ პოლიტიკაში და ბოლშევიზმთან იდეოლოგიურათ გადაკავშირებამ. ორივე ეს სავსებით ანტიმარქსისტული მიმდინარეობა საღდება მარქსიზმის სახელით და სახელს უტეხს რა მარქსიზმს ძირს უთხრის სოციალისტური რევოლიუციის სადღეისო საკითხათ გადაქცევას. სოციალისტების რეფორმისტული პოლიტიკა სოციალისტურ რევოლიუციურ ლოზუნგებს ხდის ხმათ მღაღადებელისა უდაბნოსა შინა.

* * *

მუსოლინის ერთი სოციალური დიაგნოზი მართალია. «ეს ცივილიზაცია, რომელიც აეგო კაპიტალიზმზე და ლიბერალიზმზე, გაკოტრდა»-ო თქვა მან. მაგრამ ამ სინამდვილეს უნდა მიემატოს მეორე: ის წვრილი ბურჟუაზიული ცივილიზაცია, რომლის მედროშეთ ფაშიზმია კიდევ უფრო წინ გაკოტრდა. ე.ი. ყველა კლასებმა სცადა თავისი დოქტრინის განხორციელება და დამარცხდა. არ უცდია მხოლოდ ერთ კლას და მისი ჯერი დადგა. ეს კლასია მწარმოებელი პროლეტარიატი, მისი დოქტრინით, მისი საწარმოვო პირობებით და ისტორიული მოწოდებით. დღევანდელი სოციალური ქაოსიდან ეს ერთი ბილიკია დარჩენილი კაცობრიობის გამოსასვლელათ...

ნ. ქ.

Arpajon— Imprimerie de *La Gazettede Seine-et-Oise*.

Le Gérant : René Toussaint.